გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№43 (938) 30 აპრილი – 1 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125

დაცვის პოლიცია

დათა ახალაიას „განაჩენი“

„ჩვენ არ გვინდა ახალაიების დახოცვა, ეს ძალიან მარტივია. ისინი უნდა დაიტანჯონ ზუსტად ისე, როგორც ტანჯავდნენ ადამიანებს. მათ უნდა მოვექცეთ ისე, როგორც თავად ექცეოდნენ სხვებს“...

გვ. 3

ექსკლუზიური ინტერვიუ საბერძნეთში მყოფ ქართველ „ავტორიტეტთან“

ვისი წილი ვის კომპანიაშია?

გვ. 5

PSP-სა და „ავერსის“ კარტელური გარიგება მომხმარებლის წინააღმდეგ

„სოდომ-გომორი“ პარლამენტში

ანტიდისკრიმინაციული კანონის ხმაურიანი განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში

რატომ დატოვეს კომიტეტის სხდომა სასულიერო პირებმა გაიყო უმრავლესობის წევრთა აზრი ვერ გაითვალისწინეს დეპუტატებმა პატრიარქის თხოვნა

გვ. 2

კახი კახიშვილის სკანდალური პროგნოზები

გვ. 4

„ბუნტი გარდაუვალია!“

რა სახიფათო მოძრაობას იწყებს თემურ შაშიაშვილი და საკაშვილის რომელ გეგმას დააფინანსებენ არაბი შეიხები

გვ. 6

m² -მა დოლარში დენომინირებული ობლიგაციები გამოუშვა

უნიკალური შანსი, ფული დააბანდოთ და m²-ის პროექტებში ფასდაკლებითაც ისარგებლოთ

გვ. 8

შეძლებენ თუ არა მომლოცველები გიორგობის დღესასწაულზე ისტორიულ ჰერეთში უპრობლემოდ გადასვლას

გვ. 9

ვაჟა ჩოხელი: „დუშელი ახალგაზრდები საინტერესო ინიციატივებით გამოირჩევიან და წარმატების მისაღწევად მაქსიმალურად შევუწყობ ხელს“

გვ. 7

მურაფ იღდირიმის საქველმოქმედო მისია და გუდისწასვლამდე მისული ფანი ქალბატონების ემოციური დახვედრა

გვ. 8

15 წლის მოზარდის გაუპატიურების ბრალდებით ერაყის მოქალაქეები დააკავეს

თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, 15 წლის მოზარდის გაუპატიურებას, სავარუდოდ, სამი უცხოელი ცდილობდა. შემთხვევა 29 აპრილს, დილით მოხდა. როგორც ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, 08:00 საათზე, 15 წლამდე ბიჭი ყვირილით შევარდა ერთ-ერთ სახლში და დახმარებას ითხოვდა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით: **„კარზე ბრახუნის ხმა გავიგეთ. გავაღეთ. ატყდა წივილ-კივილი. 15-16 წლის მოზარდი ბიჭი იყო, თითქმის შიშველი, პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული და შველას ითხოვდა. რამდენიმე წუთში გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელიც მოვიდა და ბავშვის გაყვანას ცდილობდა. წინააღმდეგობა გავუწიეთ. ამის შემდეგ ერთ-ერთმა უცხოელმა ბავშვს ტანსაცმელი მოუტანა. როგორც მოზარდმა გვითხრა, მისი გაუპატიურების მცდელობა იყო. თქვა, რომ სამი უცხოელი იყო და მოტყუებით გამოეპარა მათ. ჩვენ პატრული გამოვიძახეთ. საპატრულო პოლიციის მოსვლამდე ისინი გაიქცნენ“.**

თვითმხილველის თქმით, მოზარდი გამოუტყდა, რომ „გლდანის გამანაწილებელში“ ცხოვრობს, ხოლო უცხოელებს იმიტომ გაჰყვა, რომ სიგარეტსა და საკვებს დაპირდნენ.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

„ვერსიანიუსი“

თბილისში მოქალაქემ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარ სამმართველოში 1970 წელს დაბადებულმა იური დ-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა და ჩააბარა 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2714 ცალი საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა სახეობის 25 ცალი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი.

სულ ჩააბარა: 1 ცალი „ა-კა 74“-ის მოდელის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 ცალი „ა-კა-ეს 74“-ის მოდელის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2714 ცალი საბრძოლო ვაზნა, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის 12 მჭიდი, 1 ცალი 5,6 მმ კალიბრის კარაბინების და შაშხანების ლულების კომპენსატორი, იარაღის 1 ცალი სამიზნე, 1 ცალი 5,6 მმ კალიბრის იარაღის ლულის წინა ნაწილი, 5 ცალი „ერ-გე-დე-5“-ის ტიპის ხელყუმბარა, 6 ცალი „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა, 2 ცალი „პე-გე-42“-ის ტიპის ხელყუმბარა, 1 ცალი „პე-კა-გე-3“-ის ტიპის კუმულატიური ხელყუმბარა, 1 ცალი პორტატიული კავშირგაბმულობის მოწყობილობა, 1 ცალი „ერ-პე-გე-26“-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 4 ცალი ქარხნული წესით დამზადებული „პე-გა-9“-ს და „ო-გა-9“-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და „უ-ზე-ერ-გე-ემ“-ის ტიპის 6 ფალია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ანტიდისკრიმინაციული კანონი — „სოდომ-გომორი“ ქართულ პარლამენტში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ვეფხისტყაოსნის“ ნაცვლად „რომეო და რომეო“? — აი, ამ დონის დისკუსიამდე დავიდა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვა. სხდომას, კომიტეტის წევრებისა და დაინტერესებული დეპუტატების გარდა, სახალხო დამცველი, ათეულობით მოძღვარი, უფლებადამცველები, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჯონდი ბაღათურია, ნანა კაკაბაძე და სხვა ცნობილი პოლიტიკოსები თუ იურისტები ესწრებოდნენ. ყველა კითხვას კი ავტორი უწყების წარმომადგენელი შალვა თადუმაძე პასუხობდა.

დებატები ცხარე კამათში ძალიან მალე გადაიზარდა. „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ რომ ეთქვა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებდა, რომელი ქართველი მოგცემდა ხმას?!“ — ასეთი იყო დეკანოზ გიორგი რაზმაძისა და დანარჩენი საეკლესიო პირების პოზიცია; მეტიც, მათი თქმით, ეს კანონპროექტი საშინელია, მასზე ხელისმომწერნი უზნეონი არიან. არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს კი სოდომ-გომორში წასვლა ურჩია. დავის ძირითადი საგანი ამ კანონში ჩასაწერი ორი ფრაზაა: „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული ბალანსი“, შესაბამისად, თუ ამ ორ ფრაზას ჩანაწერიდან ამოიღებენ, დავაც დასრულდება. ზუსტად 4 საათის განმავლობაში დეპუტატები და სასულიერო პირევი, უფლებადამცველებთან ერთად, ამ ორ ფრაზაში ვირტუალურად ნაგულისხმევ „ბილწ შინაარსსა“ თუ ფარულ პროპაგანდას ეძებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ყველა მაინც საკუთარ აზრზე დარჩა. ორად გაიყო უმრავლესობის აზრიც — ერთნი კანონის ამ ფორმით მიღებას ემხრობიან, მეორენი კი საეკლესიო პირების ჩარევას კანონშემოქმედებით პროცესში დაუშვებლად მიიჩნევენ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბორჯომის მაჟორიტარმა **გედევან ფოფხაძემ** განაცხადა: **„ამომრჩეველმა იცოდა, რომ მართლმადიდებელი ვარ და ამ ნიშნით ამირჩია. ეკლესიის მრევლი, მაზიარებელი ვარ და ასეთმა ადამიანმა ეკლესიას წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს... ჯამში, დეპუტატობას მართლმადიდებლობა მირჩევნია“.** ასეთივე მწვავე განცხადება გააკეთა ვიცე-სპიკერმა უმრავლესობიდან, **მანანა კობახიძემ: „იმ შემთხვევაში, თუ ვინმე საქართველოში დააკანონებს ერთსქესიანთა ქორწინებას, ჩემს მანდატს დავთმობ“.** თუმცა საპატრიარქოს წარმომადგენლებზე არც ამ განცხადებებმა იმოქმედა. დეკანოზი დავით ქვლივიძე საკითხს კიდევ უფრო ექსტრემისტული სულისკვეთებით მიუდგა და თქვა, რომ ამ კანონის მიხედვით, საქართველო აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ საბოლოოდ დაკარგავს — „აჩქარებული ნაბიჯებით ევროპისკენ კი არ წავალთ, ქვეყანას დავშლით. აფხაზები და ოსები ბოლომდე იბრძოლებენ, რათა ამ კანონის გამო საქართველოსთან არ იყვნენ, რადგან ისინი კავკასიური ტრადიციის ხალხია. გახურებული დებატების დროს, მღვდლებმა პროტესტის ნიშნად კომიტეტის სხდომა დატოვეს, რადგან პატრიარქის თხოვნა პარლამენტმა არ გაითვალისწინა და 30 აპრილს ჩანიშნული, კანონის მეორედ მოსმენა, არ გადადო. დაუსრულებელი დებატების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **ეკა ბესელიამ** ყველასთვის საინტერესო განცხადება გააკეთა — იგი პატრიარქს ამ კანონის შესახებ პირადად ელაპარაკა: **„მის უწმინდესობას ვუთხარი, რომ განხილვის ვადებთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები არსებობს. პროექტი 5 თვეზე მეტია სამუშაო ფორმატში განიხილება. იყო არაერთი დისკუსია, მაგრამ კომიტეტი გარკვეული ვადითაა შემოსაზღვრული. კანონის დადგენილ ვადაში განხილვის ვალდებულება გვაქვს. კომიტეტმა რეგლამენტის დარღვევით განხილვაზე უარი რომც თქვას, ეს პროექტის განხილვას ვერ შეაჩერებს“.** ამ თემამ საყოველთაო ინტერესი იმიტომ გამოიწვია, რომ ორიოდ დღით ადრე, ქვეყანაში ნდობის ყველაზე დიდი მანდატის მქონე ფიგურამ, პატრიარქმა ილია მეორემ პარლამენტს მიმართა და კანონის მიღების შეჩერება სთხოვა: **„კონსტიტუციაში არარსებული ცნებების — „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან მოქალაქეების პიროვნული უფლებები კანონმდებლობით ისედაც დაცულია. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით, კანონს ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად მიიჩნევს... ევროკავშირი განსხვავებული ერებისა და რელიგიების გამაერთიანებელი მრავალფეროვანი სივრცეა, რომელიც სხვადასხვა ხალხის კულტურასა და ტრადიციებს აღიარებს. საქართველოსთან მიმართებაშიც მზადაა, გაითვალისწინოს და პატივი სცეს ჩვენს ფასეულობებს. კანონპროექტის მოთხოვნები კი ამ პრინციპს ეწინააღმდეგება“.** პატრიარქს ერთ-ერთმა პირველმა, ჯერ კიდევ მეორე მოსმენის დაწყებამდე კანონის ავტორი უწყების პირველმა პირმა, იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** უპასუხა. მისი თქმით, დღეს არსებული შეშფოთება ამ კანონის გარშემო უსაფუძვლოა, რადგან ძალადობას ეკლესიაც ცალსახად გმობს ისევე, როგორც ეს კანონი. გარდა ამისა, კანონზე მუშაობის პროცესში, მაღალი იერარქიის მქონე სასულიერო პირებთან იუსტიციის სამინისტროს იურისტებმა არაერთი კონსულტაცია გაიარეს და განგაშის საფუძველი არ არსებობს. გარდა ამისა, წულუკიანი კანონის მიღების საგარეო პოლიტიკურ მოტივს ხაზს უსვამს და განმარტავს: **„კონსტიტუციაში დღესაც იგულისხმება სექსუალური უმცირესობების დაცვა და ამას რაიმე ტიპის შიდააშლილობა დღემდე არ მოჰყოლია. უბრალოდ, კანონში ზუსტდება ეს. ისევე, როგორც კანონში ჩაიწერება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“, რაც დღეს კონსტიტუციაში „და სხვა“-თია მოხსენიებული, ასევე ასაკოვანი ხალხი, რომელთაც კონსტიტუცია შშ პირების მსგავსად, „და სხვა“-ს უწოდებს. დისკრიმინაციის სხვა ნიშნების დაზუსტება აუცილებელია, რათა რამდენიმე კვირაში ხელი მოვაწეროთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას.“**

როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, აქტიურ განხილვაში, ფაქტობრივად, ყველა ანგარიშგასაწევი არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩაერთო. მათ კანონის არსებულ ვერსიაში შესატან შენიშვნათა მთელი ჩამონათვალი შეიმუშავეს და აცხადებენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ორ რეკომენდაციას უნდა მიექცეს: სახალხო დამცველს მიეცეს უფლება, სასამართლოს დახმარებით, დაჯარიმების ფუნქცია მიენიჭოს და კანონპროექტიდან დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალი ამოიღონ. წერილს ხელს 35-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აწერენ. გარდა ამისა, უფლებადამცველები და იურისტები ე.წ. ფარულ პოლიტიკურ მოტივებსაც ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ, ევროკავშირის საამებლად კანონის სიმბოლურად მიღებასა და შემდეგ მის აღსრულებაზე უარის თქმას.

სასულიერო პირებისა არ იყოს, კომიტეტის კრება მართლაც მხიარული და ორად გახლეჩილი დარჩა. ზოგს მოახლოებული 17 მაისისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების ფონზე, კანონის მიღება ისევ აუცილებლად მიაჩნია, ზოგი კი საკანონმდებლო ჩანაწერში ჰომოსექსუალიზის პროპაგანდის საფრთხეს ხედავს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველადი მოკლე შინაარსი ასეთი იყო: იკრძალებოდა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, მოქალაქეობის, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და პროფესიის მიხედვით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. რაიმე ტიპის უმცირესობის უფლებების შელახვის შემთხვევაში, შემოდიოდა ე.წ. ინსპექტორების ინსტიტუტი, რომლებიც საჩივრებს მიიღებდა, ფაქტებს გამოიძიებდა და სანქციებს დააწესებდა. შესწორებული ვერსიით, ეს ფუნქცია ინსპექტორების ინსტიტუტის ნაცვლად, უკვე არსებული სახალხო დამცველის ინსტიტუტს უნდა ეკისრა. ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა კი განაცხადა, რომ სანქციების დაწესება საკუთარ თავზე პირდაპირ სასამართლომ უნდა აიღოს. ერთი შეხედვით, კანონის მიღებას ყველა მხარს უჭერს, თუმცა მის აღსრულებას შავი ჭირივით უფრთხიან! ერთადერთი, რაც ჯერჯერობით ცნობილია, კანონპროექტის მეორედ მოსმენა არ გადაიდო და მას პარლამენტი 30 აპრილს განიხილავს.

ექსკლუზიური ინტერვიუ საბერძნეთში მყოფ ქართველ „ავტორიტეტთან“

რატომ არ აწყობს ხელისუფლებას დათა ახალაიას ექსტრადირება და როგორ აპირებენ ქართველი კრიმინალები მის „გასამართლებას“

გიორგი იაშვილი

ახალ ხელისუფლებას უცნაური რამ სჭირს. მაშინ, როცა საზოგადოებას აინტერესებს, რა ხდება დათა ახალაიას საქმესთან დაკავშირებით, ეს თემა ტელეეთერიდანაც გაქრა და თითქოს, ბეჭდვური მედიაც გაჩუმდა. არადა, დათა ახალაია სწორედ ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია, რომლის დაკავებასაც აგერ უკვე მერამდენე წელია ითხოვს საზოგადოება და დარწმუნებულია, რომ მისი გისოსებსმიღმა ჩასმა, სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯი იქნება. ახლა არ ვაპირებთ მტკიცებას, დამნაშავეა თუ არა დათა ახალაია, რადგან ეს სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ ამ თემის მიჩუმათება ბევრ ეჭვს ბადებს.

„ვერსია“ შეეცადა, საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია საბერძნეთიდან, ე. წ. კრიმინალური ავტორიტეტებისგან მოეპოვებინა. ცნობილია, რომ ელადა კარგა ხანია ქართველი კრიმინალების თავშესაფრად იქცა. იქაურ ხელისუფლებასაც, პრაქტიკულად, მწვანე შუქი აქვს ანთებული, რადგან ქართველი „ავტორიტეტები“ საბერძნეთში საკუთარი კაპიტალით არიან ჩასულები და პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, იქაურ ეკონომიკაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ. რა ხდება დღეს საქართველოში, რატომ ადანაშაულებენ (?!) ქართველი კრიმინალები დღევანდელ ხელისუფლებას უმოქმედობაში და რას აპირებს თავად დათა ახალაია? „ვერსიას“ საბერძნეთში მყოფი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი „ავტორიტეტი“ ესაუბრება.

— ოფიციალური ინფორმაციით, დათა ახალაია მაშინ დააკავეს, როცა საბერძნეთიდან იტალიაში ცდილობდა ყალბი პასპორტით გადასვლას. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

— დათა ახალაია დიდი ხანია ყალბი პასპორტით მოძრაობს. ახლა, მგონი, ურუშაძის სახელით დაიჭირეს, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საბუთი, რომელიც აქვს. რამდენიმე თვეა დავდევთ და თურქეთიდანაც იმიტომ წამოვიდა, რომ მივაგენით. ხელისუფლების არ ვიცი, მაგრამ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამ ოჯახურმა კლანმა გაამწარა, ახალაიებს განაჩენი უკვე გამოუტანეს და სწორედ ამ განაჩენს დაემალა ციხეში ბაჩო ახალაიაც.

— თქვენ საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ დათა ახალაიას სხვა ყალბი საბუთებიც აქვს?

— რამდენიმე თვეა დავდევთ. თვეში მინიმუმ ერთხელ საფრანგეთში მიფრინავდა, სადაც მეუღლეს ხვდებოდა... ახლა არ მითხრათ, ხელისუფლებამ ეს ამბავი არ იცოდაო. ვერავინ დამაჯერებს, რომ არ იცოდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ არ იჭერდნენ — კაცს წითელი ცირკულარით ეძებენ, ამ დროს კი მისი ოჯახის წევრი, კონკრეტულად კი მეუღლე, თვეში ერთხელ საფრანგეთში დაფრინავს. ხომ შეიძლებოდა, ერთხელ მაინც გაყოლოდა ვინმე და გაეგო, რა უნდა ამ ქალს საფრანგეთში? დარწმუნებული ვარ, გაყვა კიდეც და იცოდნენ ეს ამბავი. უბრალოდ, ერთი რამ გაითვალისწინეს — საფრანგეთს ყველაზე რთული სასამართლო სისტემა აქვს, იქიდან ადამიანის ექსტრადაცია უდიდესი პრობლემაა და საქართველოს ხელისუფლებას ამიტომაც არ სურდა, ახალაია საფრანგეთში დაეჭირათ.

— ცოტა საეჭვო ისტორიას ყვებით?

— რა არის საეჭვო? ის, რომ ახალაია, თოფურიძე და მაგათი „სასტავი“ რამდენიმე თვე რიზეში იყვნენ, ოჯახის წევრები იქ აკითხავდნენ და ეს არავინ იცოდა? სისულელეა ეს. არ უნდოდათ და არ იჭერდნენ.

— თუ თქვენ იცოდით ახალაიას მარშრუტი და დასდევდით კიდეც, რატომ ვერაფერი იღონეთ?

— ჩვენ არ გვინდა ახალაიების დახოცვა, ეს ძალიან მარტივია. ისინი უნდა დაიტანჯონ ზუსტად ისე, როგორც ტანჯავდნენ ადამიანებს. მათ უნდა მოვექცეთ ისე, როგორც თავად ექცეოდნენ სხვებს. რამდენიმე ჩვენება გავრცელდა, რომლებშიც ადამიანები ყვებიან, როგორ აუპატიურებდნენ, სცემდნენ, სულში აფურთხებდნენ... არიან ისეთებიაც, ვინც ხმამაღლა ამაზე არ საუბრობს, მაგრამ ვიცით, რომ ისინი უარეს დღეში ჰყავდათ ახალაიებს. სწორედ მათ უნდა გადასცენ ახალაიები და ისინი მოუწყობენ სასამართლოს. გული როგორ არ გერევათ, როლანდ ახალაიას რომ უყურებთ ყოველდღე და „ბლატაობს“ პარლამენტში, მაგარი კაცი ვარო? მეტის ღირსები არიან, დედას რომ არ აგინებს, ეგ მიკვირს, მაგრამ, თუ ასე გააგრძელეს, მალე მაგასაც დაიწყებენ. ახლა არჩევნები მოვიდა და შეფუცხუნდნენ ბიჭები, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— არჩევნები რა შუაშია?

— ყოველი არჩევნების წინ, წინა ხელისუფლებაც და ახალიც, კრიმინალურ სამყაროსთან ვაჭრობს. დახმარების სანაცვლოდ რაღაცას გამოდის და ის „რაღაც“, ძირითადად, ჩვენი ძმების თავისუფლებაა. ახლაც მიდის ვაჭრობა ამ თემაზე, მაგრამ არაფერი გამოვა. ჩვენ უკვე რამდენჯერმე მოგვატყუეს.

— ვინ მოგატყუათ?

— წინა ხელისუფლებამაც და ახალმაც. ისე, როგორ გგონიათ, ყველა რომ გაიძახის, საბერძნეთი ქართველი კრიმინალებით გაივსოო და აქაურები ყურებს არ იბერტყავენ, რისი ბრალია? — ათი ათას კაცზე მეტს რომ დაასაქმებ, ნებისმიერი მთავრობა დაგიცავს. ჩვენ აქ ხალხს ვასაქმებთ, ბიზნესი გვაქვს, სერიოზულ ინვესტიციებს ვახორციელებთ. როგორ გგონიათ, აბა, ვქურდობთ და ვძარცვავთ?! პირიქით, საქმეს ვაკეთებთ. საქართველოშიც გვქონდა მცდელობა, გავაკეთეთ ბიზნესი, ახალმა ხელისუფლებამ თავიდან ტაში დაგვიკრა, მაგრამ მერე აწყობილი საქმე წაგვართვა.

— ასე საუბარი იოლია... რა ბიზნესი დაიწყეთ საქართველოში, დააკონკრეტეთ.

— ერთ-ერთი უმსხვილესი სათამაშო ბიზნესი. მეტი რა გითხრა?!

— მართალია, რომ ახალაიას ციხეში არ ასვენებთ?

— დათამ მაშინ თქვა, ვინც იყო, როცა იგრძნო, რომ შესაძლებელი იყო მივწვდომოდით. მშვიდად ელოდა ვითარების გარკვევას და იმედი ჰქონდა, რომ დეპორტის ნაცვლად, გაუშვებდნენ. ჩვენ ისე გავაკეთეთ, რომ ციხეზე უნდა გადაეყვანათ და სწორედ მაშინ ჩაუვარდა სამართალდამცავებს მუხლებში, დათა ახალაია ვარ და ციხეზე ქართველები მომკლავენო. არადა, მართლა არ მოკლავდნენ, ზუსტად ისე მოექცეოდნენ, როგორც თავად და თავის ძმა ექცეოდა პატიმრებს.

— ახლა რა ხდება?

— რა უნდა ხდებოდეს? ეს ხელისუფლება ექსტრადიციას ფიქრობს, მაგრამ არ გამოუვა იმიტომ, რომ უნიათოები არიან და მეორე ახალაია არ აწყობთ ციხეში. ნაციონალები მთელ ამბავს ატეხენ — ოჯახის წევრებზე დევნაა და ევროპელებსაც არ სჯერათ, რომ ერთ ოჯახში სამი ჯალათი ცხოვრობდა. ეს მარტო ქართველებმა ვიცით და სწორედ ამიტომ, ახალაიები ჩვენ უნდა დავსაჯოთ და ევროპას ცხვირი არ ჩავაყოფინოთ.

— ახლა სად არის დათა?

— ცალკე ჰყავთ, ყველასგან იზოლირებულად. იმეორებ, მაგის ლიკვიდაცია არანაირი პრობლემა არ არის, მაგრამ ეს არ გვჭირდება. ის სხვანაირად უნდა დაისაჯოს.

— ამბობთ, საბერძნეთში ხალხს ვასაქმებთო. რა ბიზნესი გაქვთ მანდ?

— ბოლო ერთ წელიწადში ქართველებმა აქ ორი ქარხანა გახსნეს. აღარ ვსაუბრობ რესტორნებისა და სასტუმროების ბიზნესზე. იგივეს გაკეთება საქართველოშიც შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლებას ხომ არ სურს კრიმინალების ფული? ჰოდა, სადაც სურთ, იქ ვხარჯავთ.

„კარისკაცად რომ დამაყენონ, იქაც ვიმუშავებ“

რუსუდან შელია
557-100-768

თბილისის საკრებულოს ჯერ კიდევ მოქმედი თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდა. კოალიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, კახი კალაძის განცხადებით, ყოფილი ნაციონალების ადგილი „ოცნების“ კანდიდატთა შორის არ არის. რატომ ვერ „დაუფასდა“ საკრებულოში ნაციონალური მოძრაობისთვის უმრავლესობის ჩამორთმევა და ხედავს თუ არა თავის ადგილს პოლიტიკაში? „ვერსია“ ირაკლი შიხიაშვილს ესაუბრა.

— საარჩევნო სიაში მოხვედრა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ, ჩემ დემონიზაციას ნაციონალური მოძრაობა ცდილობს. ჩემი მიზანი ქალაქში რეჟიმის შეცვლა და უგულავას ერთპიროვნული მმართველობის დასრულება იყო. ეს ერთი მატყუარა კაცია, რომელსაც ღირებულებები და ფასეულობები არ გააჩნია! შეუძლია, ყველაზე დიდი ტყუილიც კი ურცხვად განაცხადოს. წლების განმავლობაში მოსახლეობას სწორედ ასე კვებავდა.

— წლების განმავლობაში უგულავას გუნდის წევრი იყავით. ამის გამო ვერ მოხვდით „ოცნების“ საარჩევნო სიაში?

— ყოფილი ნაციონალი არ ვარ! პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, საკრებულოში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრი გახლდით. მე „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ვარ, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე კოალიციის ნაწილს დიდ პატივს ვცემ.

— კოალიციის რომელი ნაწილი არ იმსახურებს თქვენ პატივისცემას?

— არ დავაკონკრეტებ, შეუძლებელია, ყველა მოგწონდეს. ივანიშვილმა საქართველო საშინელი სენისგან გაათავისუფლა, მისი დამსახურებით, დღეს სახელმწიფო ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებიც გააქტიურდნენ და საზოგადოებაც მმართველობაშია ჩართული. საკრებულოშიც გადაწყვეტილებებს მხოლოდ თბილისელების საკეთილდღეოდ იღებენ. ჩვენი შრომის შედეგად, მომავალ მერს თბილისის ბიუჯეტი ცარიელი არ დახვდება.

— სანაცვლოდ თანამდებობრივი გარანტიები არ მიგიღიათ? „ვერსიის“ ინფორმაციით, ამ საკითხზე, ღარიბაშვილთან შუამავლობას მისი ერთ-ერთი ნათესავი გიწევდათ.

— ჩემსა და ღარიბაშვილს შორის შუამავალი არ არსებობდა. პრემიერთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ამიტომ განსაკუთრებულ და გამძაფრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ამ გუნდის წევრი ვარ და არ მინდა, ჩემი მოქმედებებით საერთო პოლიტიკა დავაზიანო. უახლოესი ორი თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს ვინარჩუნებ. ბოლომდე დავიხარჯები. შრომა არ მეზარება. გუნდს ვენდობი და მის გადაწყვეტილებას ვემორჩილები. კარისკაცად რომ დამაყენონ, იქაც ვიმუშავებ. თანამდებობაზე და ზოგადად, არაფერზე ვგიჟდები. არ ვარ ის ტიპი, სკამისთვის ვიბრძოლო.

— შესაძლოა „ხრუშჩოვკების“ საკითხის გამო, თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს? გულიკო ზუმბაძე საეჭვო გარიგებებში გდებთ ბრალს.

— გულიკო ზუმბაძე უპასუხისმგებლო დეპუტატია. მემორანდუმთან დაკავშირებით ყველაფერი იცოდა. როცა ჩემსა და „ოცნებას“ შორის გარიგებებზე საუბრობდნენ და ამას ზუმბაძეც იმეორებდა, ივანიშვილმა პირადად უთხრა — არ იცი საკითხი და ნუ ლაპარაკობ. ეჭვი მაქვს, ვიღაცის დაკვეთას ასრულებს.

— რესპუბლიკელი ზუმბაძე ვის დაკვეთას ასრულებს?

— ვისი წევრიც უნდა იყოს, მისი და ნაციონალების განცხადებები რატომღაც ყოველთვის იდენტურია. ან არ ესმის, რას აკეთებს, რაშიც ეჭვი მეპარება, ან შეგნებულად მოქმედებს ასე. მას ყველაფერი დეტალურად ავუხსენი... ირაკლი შიხიაშვილი თაღლითურად არავისთან გარიგებულა! 8 ათას ადამიანს პირადად შევხვდი, რომელთა 80%-ს საცხოვრებლის პრობლემა აქვს. მათ თვალებში ტრაგედიას ვხედავ... გულით მინდა, ეს საქმე გაგრძელდეს.

— თუ ასეა, რატომ აფორმებდით არაბ ინვესტორთან მემორანდუმს ისე, რომ ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროც კი არ იყო ინფორმირებული?

— 2008 წელს, გიგი უგულავა, თბილისელებს ეუბნებოდა, „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟს მასშტაბურად ვიწყებთ, კომფორტულად იცხოვრებთო. ყველა მოატყუეს, თავად კი დივიდენდები მიიღეს. საკითხის განხილვა განსხვავებული მიმართულებით დავიწყეთ. ადრე ქალაქის განაშენიანებაზე მხოლოდ საკაშვილი, უგულავა და ადეიშვილი „ზრუნავდნენ“, შესაბამისად, ქალაქის კონსტიტუციის დოკუმენტურად დამტკიცება არ აწყობდათ, ამიტომ, განვაცხადე, რომ ქალაქს განვითარების სტრატეგიული გეგმა, განაშენიანების პროექტთან ერთად სჭირდება, რაც არამხოლოდ „ხრუშჩოვკების“, ძველი თბილისის რეაბილიტაციასაც გულისხმობს. შედეგად თბილისი მავნე სენისგან გათავისუფლდებოდა, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ, ამომრჩევლის გულგასატეხად, საკითხის დისკრედიტირება მიზანმიმართულად დაიწყო. ამ თემის აქტუალიზაცია დავიწყეთ. ხელშეკრულება არავისთან გაგვიფორმებია. ეკონომიკის სამინისტრო პროცესში მოგვიანებით უნდა ჩართულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით დავით ნარმანიას ვესაუბრე, მითხრა, პროექტს აუცილებლად გააგრძელებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მოლდოველ კოლეგას შეხვდა

დავით უსუფაშვილმა და იგორ კორმანმა ევროინტეგრაციის გზაზე პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის კოორდინირებული მოქმედებები და გეგმები დასახეს.

შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარეებმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გასატარებელი ღონისძიებები, ასევე ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები მიმოიხილეს. უსუფაშვილმა და კორმანმა ურთიერთობების უფრო ინტენსიურ ფაზაში გადაყვანის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და საკომიტეტო დონეზე სამუშაო შეხვედრების ჩატარების მზაობა გამოთქვეს. პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრისას საუბარი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ რეგიონში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება.

„ვილნიუსის სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ ორი ქვეყნის მომავალი გეგმები უფრო დაახლოვა. ივნისში საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ელოდება, რასაც ახლავს ბევრი სამუშაო და ჩვენ შევთანხმდით, რომ ორი ქვეყნის პარლამენტი ურთიერთთანამშრომლობით წარმართავს ამ პროცესს“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი მოლდოვაში 29 აპრილს დაიწყო. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად ძიძიგური, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საქართველოს პარლამენტის მოლდოვის რესპუბლიკასთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი მაკხირ დარზიევი და ჯგუფის წევრი გიორგი ვაშაძე შედიან.

„პირველი“

საარჩევნო კომისიის წევრი პენსიონერები, ხელფასთან ერთად, პენსიას ვერ მიიღებენ

პენსიონერები, რომლებიც საარჩევნო კომისიების წევრებად იმუშავებენ, კომისიის წევრობის ხელფასთან ერთად პენსიას ვერ მიიღებენ.

ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია რამდენიმე პენსიონერმა მოგვაწოდა, რომლებსაც პარტიებმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა შესთავაზეს.

მათი განმარტებით, კომისიის წევრობის შემთხვევაში ისინი ხელფასის სახით 160 ლარს მიიღებენ, თუმცა კომისიაში მუშაობის პერიოდში პენსიას, 150 ლარს ვერ აიღებენ. ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე მსგავსი შეზღუდვა არ არსებობდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებები განმარტებების გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

„ინტერპრესნიუსი“

ექსპერტ კახი კახიშვილის სკანდალური პროგნოზები

რუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე თვენახევარი რჩება. პარტიებმაც წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყეს. რამდენად თანაბარ გარემოში უწევთ პოლიტიკურ ძალებს სასურველი თანამდებობისთვის ბრძოლა და ვის აწყობს არჩევნებამდე გადატრიალებებზე ინფორმაციების გავრცელება? რატომ გამოჩნდა ყოფილი პრემიერი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს შეხვედრასა და კოალიციის წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე? „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ექსპერტი კახი კახიშვილი აფასებს.

— „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში შემდეგი ლოზუნგით მოვიდა — ნაციონალური მოძრაობა არაადამიანურ პირობებში გაცხოვრებდათ და ამას ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება ბოლოს მოუღებსო. მოსახლეობაშიც შესაბამისი მოლოდინი გაჩნდა. ფასადური და მინიმალური საკითხების გაუმჯობესებას, ასევე კანონმდებლობაში წინადადებების ჩასწორებას კი არა, სხვადასხვა მიმართულებით ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებას ელოდნენ. „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კოდექსში ისეთი კონფიგურაციები უნდა შეეტანა, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მხოლოდ ამომრჩევლის ხმის მოპოვებისთვის ბრძოლის განცდა ჰქონოდა. ყველაფერი პირიქით მოხდა. რეალურად, პოლიტიკურ პარტიებში გაჩნდა განცდა, რომ ისევ თამაშებსა და საარჩევნო ტექნოლოგიებში უნდა ჩაერთონ, რათა ავად თუ კარგად, საარჩევნო ბარიერის გადალახვა და რამე კონკრეტულ ადგილზე გასვლა მაინც მოახერხონ.

— არასაპარლამენტო ოპოზიციამ წინასაარჩევნოდ გაერთიანებაც კი ვერ მოახერხა და იქნებ სწორედ მათივე პოლიტიკური სისუსტის შედეგია, რომ არჩევნებში გამარჯვების ნაკლები შანსი აქვთ?

> **— თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას უამრავი თანამდებობის პირის პირდაპირი არჩევის წესი შესთავაზა, თუმცა ეს იმ ვითარებას ჰგავს, ღარიბი ადამიანი სუპერმარკეტში შეიყვანონ და უთხრა — რაც გინდა, იყიდეო. სამწუხაროდ, საქართველოში სახელისუფლო პარტია ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაშია.**

ადმინისტრაციულ რესურსს რომ თავი დავანებოთ, მოსახლეობას სახელისუფლო კანდიდატის მხარდასაჭერად მეტი მოტივაცია აქვს. ნაციონალურ მოძრაობასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსები აქვს, რადგან ცხრა წლის განმავლობაში სახელმწიფოს ხარჯზე მდიდრდებოდა. თანაც ამ პოლიტიკურ ძალას იმდენად მოტივირებული ამომრჩეველი ჰყავს, რომ თოვლსა და წვიმაშიც საარჩევნო უბნებში მისასვლელად მზად არიან. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ არჩევნებში ყველაფერს ამომრჩეველი კი არა, პოლიტიკური კონფიგურაცია და ბერკეტები განსაზღვრავს. როგორც ადრე ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი წყვეტდა, დღესაც პოლიტიკური დღის წესრიგი ერთი ადამიანის ხელთაა, რომელსაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს.

— ანუ კოალიციის პოლიტიკური საბჭოს სხდომასა და წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურ ცერემონიაზე ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ რეიტინგის მოსამატებლად გამოჩნდა?

— ეს ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგიაა, რათა, თუ ვინმეს დაავიწყდა, გაიხსენოს, რომ „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილთან ასოცირდება. როგორც ჩანს, ყოფილ პრემიერს არ სურს, წინასაარჩევნო კამპანიაში პირდაპირი წესით ჩაერთოს და, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებამდე აკეთებდა, გიორგი მარგველაშვილის მსგავსად, კოალიციის ამჟამინდელ კანდიდატებს ხელი ჩაკიდოს და ხალხში გავიდეს. უბრალოდ, მოსახლეობას უქმნიან წინაპირობას — წადი არჩევნებზე და „ქართულ ოცნებას“ ხმა ბიძინას ხათრით მაინც მიეციო. ზოგადად, კოალიციაზე ბიძინა ივანიშვილს იმდენად დიდი გავლენა აქვს, სხვა ქვეყანაშიც რომ გადავიდეს და განცხადება იქიდან გააკეთოს, ხელისუფლებისთვის მაშინვე იქცევა მოქმედების მკვეთრ ინსტრუქციად. ბიძინა ივანიშვილი კოალიციის წევრებისთვის ხელისუფლებაში ყოფნის გარანტიაა, რადგან მხოლოდ მას აქვს ბერკეტი, მმართველი გუნდის წარმომადგენლები სასურველი პირებით ჩაანაცვლოს.

— თქვენც ფიქრობთ, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება შესაძლებელია?

— არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ოდესმე დაბრუნდეს. ამის სურვილი რომ ჰქონოდა, არსად წავიდოდა. იგი ვერც წარმოიდგენდა, პატარა ქვეყნის მართვა ასეთი რთული თუ იქნებოდა. საქართველოს ძალიან ბევრი ვალდებულება გააჩნია, ამიტომ მასაც ისეთი საკითხების გადაჭრა უხდებოდა, რისი სურვილიც დიდად არ ჰქონდა, თუმცა პოლიტიკიდან მისი წასვლა, არ ნიშნავს, რომ სახელისუფლო მართვას მთლიანად გამოეთიშა. პირიქით, დარწმუნებული ვარ, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი პირადად მასთან წყდება.

— ირაკლი ღარიბაშვილის გაკეთებული განცხადებაც შეაფასეთ — რატომ საუბრობს პრემიერი ჭორებსა და მოღალატეების დასჯაზე, ეს მისი მხრიდან პრევენციაა?

— „თბილისურ მაიდანსა“ და ოთხი მინისტრის ღალატზე საუბარი, როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. „ქართულ ოცნებას“ სურს, მოსახლეობას შეუქმნას ერთგვარი შიშის განცდა, რომ შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში სხვადასხვა კონფიგურაციით დაბრუნდეს, ამიტომ არჩევნებზე ქუდზე კაცი გამოდით და მხარი დაგვიჭირეთო. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად მოსახლეობას დღეს სხვა მოტივაცია არ აქვს. მათ მიერ უხვად გაცემული დაპირებების დიდი ნაწილი არ შესრულდა. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ისინი მსგავსი ინფორმაციების სპეკულირებით საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობენ — ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გვაქვს და არაფერი წაგვიგია, ასე რომ, სხვა პარტიებში გადაბარგება არ დაიწყოთ, შეიძლება ხელისუფლებაში დავბრუნდეთო. ეს კარგად შეთამაშებული ტექნოლოგიაა, რომელსაც ორივე ძალა სათავისოდ შესანიშნავად იყენებს. უბრალოდ, ირაკლი ღარიბაშვილი ამ საკითხს საჯაროდ მხოლოდ იმიტომ გამოეხმაურა, რომ პროცესი უკონტროლო არ გამხდარიყო და „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს მართლაც არ ეფიქრა, ნაციონალურ მოძრაობაში კავშირები ხომ არ ვეძებოო. დაახლოებით იგივე ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, როცა ხმები ვრცელდებოდა, თუ ჭკვიანად არ მოიქცევით, სააკაშვილი მინისტრთა კაბინეტს სრულად დაითხოვსო. ყველამ კარგად იცოდა, სააკაშვილს ამის გამბედაობა არ ჰქონდა, უბრალოდ, ზოგიერთებს აფრთხილებდნენ, რაც გაქვს, დაჯერდი და ზედმეტი არ მოითხოვოო.

— გუნდში მოღალატეებზე საუბრისას, განსაკუთრებული სიხშირით ირაკლი ალასანიაზე კეთდება აქცენტი. თუ ჭორების ავტორი „ქართული ოცნებაა“, თავდაცვის მინისტრის მოსაშორებლად ფონი მზადდება?

— ირაკლი ალასანია კოალიციაში ასოცირებული ლიდერი იყო, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნებამდე აცხადებდა, ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე განვიხილავო. რამდენიმე თვეში კი, ალასანია ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ — კოალიციაში რეალური განხეთქილებაა. ეს პროცესი ბუნებრივიცაა. ეს გაერთიანება იმდენად ეკლექტურია, ყველა პოლიტიკური სუბიექტის ერთ პოზიციაზე ყოფნა შეუძლებელია. პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, მათი უმრავლესობა ერთმანეთს არც კი ესალმებოდა. უბრალოდ, ახლა თითოეულ მათგანს კარგად ესმის, რომ შექმნილ ვითარებაში კოალიციის დაშლა მათთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. მათ ხელისუფლებაში ყოფნის პერსპექტივა აერთიანებს, ამიტომ „ქართულ ოცნებაში“ მანამ იქნებიან, სანამ რომელიმე პარტიას არ გაუჩნდება განცდა, რომ დამოუკიდებლად თუნდაც წარმომადგენლობით ოპოზიციური ძალა გახდა. თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კოალიციაში გადანაცვლების პროცესი აუცილებლად დაიწყება.

— იქნებ ეს პროცესი უკვე დაწყებულია? პრემიერის მიერ დასახელებული მერობის 12 კანდიდატი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია.

> **— რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობაზე მხოლოდ მისთვის სანდო პირებს ნიშნავს და კოალიციაში შემავალ დანარჩენ პარტიებს ეტაპობრივად იცილებს. პარტია „ქართულ ოცნებას“ კი არ აქვს სურვილი, კვოტები ამ გაერთიანებაში შემავალ სხვა პოლიტიკურ ძალებს დაუთმოს. დარწმუნებული ვარ, მერობის კანდიდატების შერჩევის პროცესი კოალიციაში სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, თუმცა ამაზე საუბარს დღეს ვერ ბედავენ. კარგად იციან, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილის სიმპათიით სარგებლობს, ამიტომ მისი განაწყენება ავტომატურად ყოფილი პრემიერის გაბრაზებას ნიშნავს.**

ᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘᲐ?

PSP-სა და „ავერსის“ კარტელური გარიგებისა და მონოპოლიური შეთანხმების სქემა

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით, 24%-ს შპს „ავერსი“, ხოლო 23%-ს შპს PSP ფლობს. ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით „ავერსის“ საკუთრებაში 240-მდე, ხოლო PSP-ს საკუთრებაში 170 აფთიაქია. „ავერსი“ და PSP ბაზარზე კონკურენტები არიან, მაგრამ დადასტურებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ორივე კომპანია პარტნიორია. შპს „მედკაპიტალის“ 50%-იან წილს „ავერსი ფარმა“, ხოლო მეორე 50%-იან წილს — „პსპ ფარმა“ ფლობს. „პსპ ფარმას“ დამფუძნებელია პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი, „ავერსი ფარმა“ კი ძმების — პაატა და ნიკოლოზ კურტანიძეების საკუთრებაა. ფარმაცევტულ ბაზარზე შპს „მედკაპიტალის“ არსებობა ორი კონკურენტი კომპანიის კარტელური შეთანხმების კლასიკური ვარიანტია, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ კანონის დარღვევად უნდა ჩაითვალოს. მონოპოლიური შეთანხმების კლასიკურ სქემას „ვერსიას“ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი უშიფრავს.

შპს „მედკაპიტალის“ 50% „პსპ ფარმას“, ხოლო 50% „ავერსი ფარმას“ საკუთრებაა. „პსპ ფარმას“ 100%-იანი წილის მფლობელია კახა ოქრიაშვილი, ხოლო „ავერსი ფარმას“ 67%-ს პაატა კურტანიძე, 33%-ს ნიკოლოზ კურტანიძე ფლობენ. საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე PSP და „ავერსი“ კონკურენტი კომპანიებია, არადა აშკარაა, რომ კონკურენტებმა ერთობლივი კომპანია დააფუძნეს. სოლომონ პავლიაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ბაზარზე შპს „მედკაპიტალის“ არსებობა, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, ერთდროულად, რამდენიმე პუნქტით არღვევს: **„კარტელური შეთანხმების გარდა, შპს „მედკაპიტალი“ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციაა. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის თანახმად, ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს. ამავე კანონში პირდაპირ განსაზღვრულია, რომ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციად ითვლება ერთი და იმავე პირის მონაწილეობა სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტში. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური პირი ორი სხვადასხვა კომპანიის მართვაში არ უნდა მონაწილეობდეს. „ავერსი“ და PSP ისედაც ბაზრის მსხვილ სეგმენტს ფლობენ, მსხვილი იმპორტიორები არიან, დისტრიბუციასაც თავადვე ახორციელებენ, ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, საავადმყოფოებსა და ფარმაცევტულ ქარხნებს, რაც ვერტიკალური მონოპოლიაა. იმის გამო, რომ ორმა კონკურენტმა კომპანიამ ერთობლივი შპს დააფუძნა, ეს უკვე ჰორიზონტალური მონოპოლიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერტიკალური იქნება, თუ ჰორიზონტალური, ორივე შემთხვევაში კანონი ირღვევა კანონში განსაზღვრულია, რომ კომპანია ბაზრის 40%-ზე მეტს არ უნდა ფლობდეს, არადა, „მედკაპიტალის“ საშუალებით, PSP და „ავერსი“, ჯამში, ბაზრის 47%-ს აკონტროლებენ და ესეც კანონდარღვევაა“.**

სოლომონ პავლიაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ბაზრის მსხვილი მოთამაშეები — PSP და „ავერსი“, არა მარტო მონოპოლიურად მაღალ ფასს აწესებენ, ფასებით თამაშობენ კიდეც, მაგალითად, სხვა კომპანიის გაკოტრების მიზნით, მედიკამენტების ფასს დასწევენ და რაც მთავარია, გარკვეული დასახელების მედიკამენტებზე ექსკლუზივსაც კი ფლობენ. სოლომონ პავლიაშვილის თქმით, PSP-სა და „ავერსს“ შორის, ჯენტლმენური შეთანხმება არსებობს, რომლითაც კონკრეტული დასახელების მედიკამენტი მხოლოდ PSP-ს ან „ავერსს“ შემოაქვს. გარდა ამისა, ეს კომპანიები ბაზარს ადგილობრივი პროდუქციითაც ავსებენ, სადაც დაახლოებით 70-მდე მწარმოებელია და ამ შევსების დროს, მსხვილი მოთამაშეები დემპინგურ ფასებსაც აწესებენ.

ოფიციალური ინფორმაციით, PSP-ს მფლობელ კახა ოქრიაშვილს შპს „ალფაში“ 100%-იანი წილიც გააჩნია, რომელიც „ავერსის“ სადაზღვევო კომპანია იყო. წინა ხელისუფლების პირობებში, ჯერ კიდევ „ავერსის“ საკუთრებაში არსებული „ალფა“ დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ბაზარზე საკმაოდ სერიოზული პრობლემები შექმნა. მართალია, წარმატებულმა სადაზღვევო კომპანიამ დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დიდი დაფინანსება მიიღო, მაგრამ ვალდებულება თითქმის არ შეუსრულებია და საბოლოოდ, გაკოტრების პირას მივიდა, ახლა კი ირკვევა, რომ გაკოტრებული „ალფა“ კონკურენტი PSP-ს მფლობელმა შეიძინა: **„ალფას“ მფლობელი 100-იანი წილით ახლა კახა ოქრიაშვილია და დასამალი აღარ არის, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, „ავერსს“ სწორედ მმართველი პარტია ლობირებდა, რადგან კახა ოქრიაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო. სადაზღვევო კომპანიები საკმაოდ დიდ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდნენ, თუ არ ვცდები, დაახლოებით, 800 000 ლარზე მეტი მიიღო „ავერსმა“ და სწორედ მაშინდელი ხელისუფლების ლობირებით იყო გამოწვეული ამ კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე. ეს შემთხვევაც ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის ნათელი მაგალითია, რადგან ერთი კომპანია, ამ შემთხვევაში PSP, თავისივე კონკურენტი კომპანიის მართვაში მონაწილეობს ან მისი თანადამფუძნებელია. ეს ნიშნავს, რომ PSP და „ავერსი“ კონკურენტები კი არა, პარტნიორები არიან, ორივე კომპანიის აფთიაქებში მედიკამენტების ფასი ამიტომაცაა იდენტური“.**

სხვადასხვა ექსპერტის შეფასებით, გამორიცხული არ არის, „ალფამ“, რომელიც დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობდა, სახელმწიფო ვალდებულება შეგნებულად არ შეასრულა, რათა სადაზღვევო ბაზრისთვისაც მიეყენებინა ზიანი, კონკურენტი კომპანიებისთვისაც, თვითონაც გაკოტრებულიყო და ბოლოს, გაკოტრებული კომპანია კონკურენტ PSP-ს შეეძინა. შესაძლოა, ეს ერთგვარი გარიგება და მიზანმიმართულად გადადგმული ნაბიჯი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაში სჭირდებოდა კახა ოქრიაშვილს, პაატა კურტანიძის გაკოტრებული კომპანია „ალფა“? სოლომონ პავლიაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ სადაზღვევო კომპანიების მოგება 65%-დან 70%-მდე იყო, ამიტომ მისთვის გაუგებარია, რატომ ვერ შეასრულა „ალფამ“ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება: **„მეტსაც გეტყვით, სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო შესყიდვები გარანტირებული ჰქონდათ, ისინი კონკურსში არც კი მონაწილეობდნენ, აუქციონი მხოლოდ პირობითად ჩატარდა. ამ კომპანიებმა რეგიონებიც გადაინაწილეს, ერთმა სადაზღვევო კომპანიამ იმერეთის რეგიონი მოიგო, მეორემ — კახეთი და ა.შ. სხვათა შორის, ახალ ხელისუფლებას ძალიან კარგი პოზიცია აქვს, რადგან სახელმწიფო დაზღვევას თვითონვე ახორციელებს. საინტერესოა, წინა ხელისუფლების პირობებში ვის მოუვიდა თავში აზრად, წელიწადში 400 000 000 ლარი (ასეთი ბრუნვა ჰქონდა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამას), კერძო სექტორში გადაესროლა? არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სადაზღვევო კომპანიებს საკუთარი კლიენტურა არ უნდა ჰყავდეს, ცხადია, უნდა ჰყავდეთ, მაგრამ ამისთვის საკუთარი აგენტების საშუალებით უნდა იბრძოლონ და იშრომონ. თუ სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო ვალდებულების შესრულების ინტერესი ჰქონდათ, მაშინ აგრარული სექტორის დაზღვევა რატომ არ აიღეს საკუთარ თავზე? პრაქტიკულად, 400 000 000-ლარიანი გარანტირებული მიწოდება ჩაიგდეს ხელთ, რაც კომპანიის 70%-იანი მოგების პირობებში, ხომ წარმოგიდგენიათ, რა რაოდენობის თანხა იქნებოდა?!“**

შეძლებს თუ არა ახლადშექმნილი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ ამ პრობლემების მოგვარებას? უკვე ცნობილია, რომ 15 აპრილს დაფუძნებულმა სააგენტომ, პირველ რიგში, ნავთობის ბაზარი უნდა შეისწავლოს, არადა, ფარმაცევტულ ბაზარზეც არანაკლებ სახიფათო მდგომარეობაა, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონსაც ეწინააღმდეგება და ევროკავშირთან ხელმოსაწერად გამზადებულ ასოცირების ხელშეკრულებასაც. შეძლებს თუ არა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული სააგენტო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას? მოახერხებს თუ არა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ საქართველოს ბაზარზე არსებული მონოპოლიების დაშლასა და კარტელური გარიგებების აღმოფხვრას? სოლომონ პავლიაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ სააგენტოს ეფექტური მუშაობა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული: **„კონცენტრაცია და ხელოვნური მონოპოლიები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონშია გაწერილი. 2000 წლამდე, ეს სამსახური საკმაოდ ავტონომიური იყო, მაგრამ იმის გამო, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობდა, ეფექტურად ვერ მუშაობდა. აბა, ვინ გაბედავდა მაშინ „მაგთის“ ან თუნდაც „ჯეოსელის“ დაჯარიმებას? კონკურენციის სააგენტოს მუშაობას გარკვეული ხმაური აუცილებლად მოჰყვება, რადგან გამორიცხული არ არის, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს კომპანიებს პოლიტიკური ნიშნით აჯარიმებენ, მაგრამ აუცილებელია, ამ სააგენტოს ხელმძღვანელი ასეთი გავლენის ქვეშ არ მოექცეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამაც უნდა შეუწყოს ხელი, რომ სააგენტო მეტად დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ ნუ გვგონია, რომ ეს სააგენტო მხოლოდ და მხოლოდ, სადამსჯელო ორგანო იქნება. ამ სამსახურმა პრევენციული ღონისძიებებიც უნდა გაატაროს, ამერიკული და ევროპული მოდელის მიხედვით, თუ რომელიმე კომპანია კონკურენციის სააგენტოსთან ითანამშრომლებს, სააგენტო დაჯარიმების გზით აღარ წავა, პირიქით, პრევენციული ღონისძიებების შედეგად ეცდება, ეს კომპანია ჩვეულებრივ მდგომარეობაში გადაიყვანოს, რაც თავისუფალ კონკურენციასა და ფასწარმოქმნას გულისხმობს. ამიტომ საზოგადოებას ნუ ექნება იმის მოლოდინი, რომ როგორც კი კონკურენციის სააგენტო ამუშავდება, საწვავი, მედიკამენტები ან სხვა პროდუქტი მაშინვე გაიაფდება“.**

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

„ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲜ ᲣᲝᲗᲔᲠ ᲔᲜᲓ ᲤᲐᲣᲔᲠᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

კომპანიის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გიორგი გაჩეჩილაძე დაინიშნა. აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე, გიორგი გაჩეჩილაძე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კრიზისული სიტუაციების მართვის შტაბს ხელმძღვანელობდა, სპეციალობით ეკონომისტია დაიბადა 1968 წელს, თბილისში, დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ფლობს ეკონომიკის მაგისტრის წოდებას. 1999–2000 წლებში მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე, 2001–2003 წლებში კი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა ეკავა. 2003 წლიდან მოყოლებული, გიორგი გაჩეჩილაძე კერძო სექტორში მოღვაწეობს. კომპანიის ახალი გენერალური დირექტორის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება როგორც დედაქალაქის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სტაბილურობისა და საიმედოობის გაზრდა, ასევე, ხარისხიანი სასმელი წყლით თბილისის მოსახლეობის შეუფერხებლად მომარაგება, მომსახურების სტანდარტების ამაღლება და არსებული სისტემების ძირეული მოდერნიზაცია.

„პირველი“

ᲐᲨᲨ-Მ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲣ�წᲔᲡᲐ

აშშ-მ სანქციები რუსეთის 7 ოფიციალურ პირს და 17 რუსულ კომპანიას დაუწესა. სიაში შევიდნენ – ვიცე-პრემიერი დიმიტრი კოზაკი, სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ალექსეი პუშკოვი და „როსნეფტის“ ხელმძღვანელი იგორ სეჩინი; ასევე კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე ვიაჩესლავ ვოლოდინი, პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ოლეგ ბელავენცევი, „ეფ-ეს-ოს“ ხელმძღვანელი ევგენი მუროვი, „როსტეხის“ ხელმძღვანელი სერგეი ჩემეზოვი.

ყველა კომპანია, რომელთა წინააღმდეგ სანქციები დაწესდა ან გენადი ტიმჩენკოს, ან ბორის როტენბერგს, ან ბანკ „როსსიას“ ეკუთვნის; სიაშია ასევე რამდენიმე ბანკი, მათ შორის – „ინვესტკაპიტალბანკი“, „სობინბანკი“ და „სმპ ბანკი“.

თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია: **„აშშ აწესებს სანქციებს რუსეთის 7 ოფიციალური პირის წინააღმდეგ, რომელთა შორის არიან პრეზიდენტ პუტინთან დაახლოებულები – მათი აქტივები გაიყინება, აშშ-ს ვიზების გაცემა აკრძალულია. ასევე სიაშია პუტინთან დაახლოებული 17 კომპანია, რომელთა აქტივებიც გაიყინება“.**

„პირველი“

„ბუნტი გარდაუვალია!“

რა სახალხო მოძრაობას იწყებს „თეთრების“ დიდერი და საკაშვილის რომელ გეგმას დააფინანსებენ არაბი შეიხები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რამდენიმეწლიანი ერთად ყოფნისა და ერთად გადატანილი სისხლიანი 26 მაისის შემდეგ, თემურ შაშიაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის პირველი ბზარი სახალხო კრების ირგვლივ გაურკვეველი პოლიტიკური გაერთიანების შექმნამ გააჩინა. ბურჯანაძისა და ქრისტიან-დემოკრატების ალიანსმა თბილისის მერობის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძე დაასახელა, შაშიაშვილი კი ქუთაისის მერობისთვის იბრძოლებს. მართალია, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, როგორ, მაგრამ პარტია „თეთრების“ ლიდერმა წინასწარ იცის, რომ, თუ ადგილობრივ არჩევნებზე „ოცნების“ მიერ თავსმოხვეული ან, მით უმეტეს, ნაციონალების კანდიდატები გაიმარჯვებენ, შემოდგომით „პოლიტიკური თუხთუხი“ არ აგვცდება და დიდი სახალხო მოძრაობა დაიწყება.

— სახალხო კრება დაიშალა, ნინო ბურჯანაძემ თბილისის მერობის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძე დაასახელა, თქვენი ძველი მოკავშირე კახა კუკავა „მემარჯვენეებთან“ წავიდა — რა ხდება?

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, ისედაც ბევრმა შემომთავაზა, თბილისის მერად კენჭი მეყარა. მაგ ალიანსში არ ვარ და მხარს არ ვუჭერ ჩემთვის გაუგებარ გაერთიანებებს. კრება მაშინაა ჩუმად, როცა პოლიტიკური პარტიები ფაფხურობენ, ახლა კი წინასაარჩევნო პერიოდია და არც კრება აქტიურობს. დიმიტრი ლორთქიფანიძე კრებაში არც არასოდეს ყოფილა. ჩემი პარტია სახალხო კრებაში არ მონაწილეობს — მორჩა, დამთავრდა! 10-ჯერ მთხოვა ნინო ბურჯანაძემ, მერად კენჭი იყარეო, მაგრამ უარი ვუთხარი. მასთან თანამშრომლობის პრობლემა არ მაქვს, ჩემი პრობლემა სხვადასხვა, ჩემგან შორსმყოფი იდეოლოგიის პარტიებთან თანამშრომლობაა, თუმცა ქუთაისში კენჭს რომ ვიყრი, როგორც ბურჯანაძემ მითხრა, იქ თავის კანდიდატურას არ დააყენებს და მხარს დამიჭერს ისევე, როგორც სახალხო კრება. ვიფიქრე, პარტია „თეთრებიდან“ ვიყრი კენჭს-მეთქი, მაგრამ, როცა ჩემი პარტიის დარეგისტრირება დავიწყეთ, ჯერ შემომითვალეს, მცირე ხარვეზები გაქვთ გასასწორებელიო, 1 საათში კი უარი გამოგვიცხადეს — 25 000-ის მაგივრად 27 000 ხელმოწერა მივიტანეთ და თქვეს, 500 კაცი გაკლიათო. ნებისმიერ შემთხვევაში კენჭს მაინც ვიყრი და აშკარაა, ქუთაისის მერის არჩევნებში ჩემი გამარჯვება მხოლოდ ხმების გაყალბებითაა შესაძლებელი!

— აბა, ყველა გზა თუ მოჭრილია, კენჭი როგორ უნდა იყაროთ?

— 7 პარტიიდან მაქვს შემოთავაზება. დღესაც შემიძლია, მონაწილეობა მივიღო ბურჯანაძის პარტიიდან. არც „მნვანეები“ იტყვიან უარს, არც კახა კუკავა, მაგრამ სხვა თემაა, ვიქნები თუ არა ჩემს თავთან მართალი. მეტიც, საკითხი რომ დამეყენებინა, თბილისის მერობა მინდა-მეთქი, კრება და ბურჯანაძე მხარს დამიჭერდნენ, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. მივდივარ ქუთაისში — იქ, სადაც ყველაზე მეტის გაკეთება შემიძლია! ვიცი, დღეს ქუთაისის მერიაში საშვის გარეშე ჩვეულებრივი მოქალაქე მისაღებში ვერ მოხვდება და ეს კარი უნდა გაიხსნას. 2 წლის წინ, ქუთაისში, გუბაზ სანიკიძის სასარგებლოდ ჩემი კანდიდატურაც მოვხსენი, მაგრამ მისი საქციელი დღეს დასაძრახია! ამიტომ, როგორც კი ქუთაისის მერი გავხდები, ავკრძალავ სახელმწიფო მანქანის მომსახურებას. იქნება ერთი მორიგე მანქანა და ამით დასრულდება ყველაფერი! პირდაპირ ვაცხადებ — მხარს მიჭერს ბევრი ქუთაისელი, ცნობილი სახე და მათ შორის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიცა და მხარდამჭერებიც.

— „ქართული ოცნება“ ქუთაისში მხარს გიჭერთ და არა დასახელებულ კანდიდატ შოთა მურღულიას?

— შემიძლია, გითხრათ კონკრეტული გვარი — მაგალითად, სამუსიკო სკოლის დირექტორი არსენიძე, ცნობილი ხელოვნებათმცოდნეა და „ქართული ოცნების“ წვერია, მაგრამ მხარს მიჭერს. შოთა მურღულიას არ ვებრძვი, ის თავად ებრძვის საკუთარ თავს, ქუთაისის მერობა რომ უნდა. ამ ხალხის არჩევით, 2-3 თვეში „ოცნებას“ რაიონებსა და ქალაქებში ისეთი პრობლემები შეექმნება, შეუქცევად პროცესს ვეღარ გააჩერებს. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვამბობდი, პლასტილინი მარგველაშვილის პრეზიდენტობა არ შეიძლება-მეთქი და ახლა გამოდის გაოგნებული ივანიშვილი, ამ 2 თვეში როგორ შეიცვალა მარგველაშვილიო. მარგველაშვილი იყო პლასტილინი და დარჩა პლასტილინად!

— ანუ ეჭვი გეპარებათ, რომ ისევ ყველგან „ოცნების“ კანდიდატები გაიმარჯვებენ?

> **— არჩევნების მერე საქმე აუცილებლად სამოქალაქო ომამდე მივა! ამის ნიშნები უკვე არის: უმძიმესი სოციალური ფონი; მეორე მხრივ კმაყოფილი ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი. პლასტილინი პრეზიდენტი, ხალხის განწყობის შეუსაბამო პარლამენტი და პოსტებზე მხოლოდ საკუთარი ნათესავები. ზუსტად ეს მიგვიყვანს ბუნტთან, თუმცა ეს იქნება არა მშიერი, არამედ პოლიტიკური ბუნტი საქართველოში! აბა, შეიძლება, ყველა ქალაქის მერი და გუბერნატორი პოლიციიდან წამოსული ავტომატიანი კაცი იყოს? ეს ხომ ქვეყნის დამხობაა?!**

შეიძლება ქუთაისში მთავარ ხელმძღვანელ თანამდებობაზე თბილისის პოლიციიდან და საგადასახადოდან წაყვანილი კადრები გყავდეს, ეს ქალაქის შეურაცხყოფა არ არის?! იცით, ბუნტი რატომ მოხდება? — ხალხი სააკაშვილის დროს არ ელოდა, რომ კარგად იცხოვრებდა, ივანიშვილის მოსვლის შემდეგ კი იფიქრა, რძის მდინარეები წამოვაო, მაგრამ ახლა ყველა ორმაგად იმედგაცრუებულია და ისეთი კაცი ამბობს, იარაღს ავიღებ ხელშიო, პროფესორი და დოქტორი რომაა.

— აკი ნაციონალებს უნდა მივუტევოთო, ირაკლი ალასანიას უთქვამს და „ოცნებამ“ რა დააშავა?

— ყველას ყველაფერი აპატიეს უკვე — ჩვენი გამათხოვრებაცა და დაჩაჩანაკებაც! რაც შეეხება ამ განცხადებას, ალასანიას ისეთი პირობები შეუქმნეს პარტიაში, საყრდენს ახლა სხვაგან ეძებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საყრდენი დაკარგა... ალბათ ცდილობენ, საკუთარი პარტიის წევრები აუბუნტონ. ჩემი აზრით, იგი იმ მინისტრების ჩამონათვალშია, რომელიც ივანიშვილს არ მოსწონს, თუმცა საგანგაშო ახლა სხვა თემაა — ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სადაც დადის, ყველგან ამბობს, ნახევარ წელიწადში ხელისუფლებაში დავბრუნდებიო. 2 დღის წინ ეს არაბ შეიხებს უთხრა, ცოტა ხანში აზერბაიჯანში წავა და იქაც იგივეს იტყვის, ზუსტი ინფორმაცია მაქვს. ისიც ვიცი, რომ არაბი შეიხები ახალ ხელისუფლებაზე ნაწყენები არიან — სააკაშვილს ისეთი გაჯეჯილებული ჰყავდა, ახლანდელი ვითარება არ მოსწონთ, ამიტომ სააკაშვილის ნებისმიერ გეგმას დიდი თანხით დააფინანსებენ. რაც მეტად გააქტიურდება ნაციონალური მოძრაობა, მით მეტია სამოქალაქო დაპირისპირების შანსი, თუმცა არც „ოცნება“ აკლებს — ხალხი უკვე ხედავს, რომ საქართველო ისევ ერთპარტიული ხდება, პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს ახლა გამგებლები და მერები დაემატებიან, ამას პლუს „ოცნების“ მიერ აბსოლუტურად უცნობი ადამიანების დასახელება — ესეც ნაციონალური მოძრაობის ხელშეწყობაა. „ოცნების“ ეს კანდიდატები იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებენ, რაც ნაციონალური მოძრაობის მერებმა გააკეთეს. „ოცნება“ გაყალბების გარეშე ვერ გაიმარჯვებს, ეს შეიძლება აპატიონ 3-4 თვე, მაგრამ მერე უმართავი პროცესი წავა — ბუნტი გარდუვალია!

— მაგრამ სად არის ეს ბუნტი ან ეს რევოლუცია, სად ხედავთ ამის ნიშნებს, როცა პოლიტიკური პროცესი ძალიან მდორედ მიედინება?

— გარწმუნებთ, 2014 წლის შემოდგომა ურთულესი იქნება! არის 15-20 ადამიანი, მათ შორის, ერთ-ერთი მე, ვინც ამ პროცესს ჩაუდგება სათავეში. ეს ხალხი ბიძინა ივანიშვილის ინტერესების სფეროში არ შედის და არც აქვს ამის პრეტენზია, მაგრამ, თუ ივანიშვილმა ამ ხალხის პირველობას თვითმმართველ ქალაქებში ხელი შეუშალა, ეს ნიშნავს, ივანიშვილი თვითონ გახდა შეიხი და თავს ყველაფრის უფლება მისცა. ეს 15-20 კაცი თავს არ დახრის და სახლში არ წავა.

— აბა, რას იზამთ?

> **— სათავეში ჩავუდგებით დიდ სახალხო მოძრაობას და არ დავუშვებთ, შეიხი ივანიშვილი საქართველოს თავზე დააჯდეს! ასე ვართ შეთანხმებულნი, რომ კრება ამ დიდი სახალხო მოძრაობის ერთ-ერთი საყრდენი იქნება. თუ ამ არჩევნებზე „ოცნების“ მიერ დასახელებული კანდიდატები გავლენ, დაიწყება დიდი სახალხო მოძრაობა!**

— ახალ 26 მაისს გვპირდებით?

— 15 ივნისის შემდეგ, შემოდგომით ვითარება დაიძაბება და ერთადერთი, რაც ამ ბუნტს გააჩერებს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება ოქტომბერში, თუ არადა, თავზე ჯიბგირებს ვერ დავისვამთ!

ვერსიანიუსი

„ქართული ოცნების“ სიაში ყოფილი ნაციონალები არ იქნებიან

კოალიცია არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატების სავარაუდო კანდიდატებთან დაკავშირებით.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის პრესსპიკერის, გიორგი გეგეჭკორის ინფორმაციით, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სიის ფორმირება ამ დრომდე მიმდინარეობს და მათი ვინაობა საზოგადოებისთვის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში გახდება ცნობილი: **„მოგმართავთ თხოვნით, ნებისმიერი ინფორმაცია გავრცელებამდე გადაამოწმოთ საარჩევნო შტაბში და თავი შეიკავოთ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან. კოალიცია ღიაა ყველა მედიასაშუალებასთან თანამშრომლობისთვის“**.

რაც შეეხება ერთ-ერთ კანდიდატად მელორ ვაჩნაძის დასახელებას, გეგეჭკორის თქმით, თავად ვაჩნაძე ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს.

საარჩევნო სიაში ყოფილი ნაციონალები არ იქნებიან

ვიცე-პრემიერი კახი კალაძე კი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ყოფილი ნაციონალები არ იქნებიან: **„ძალიან ბევრი კანდიდატი განიხილება. რაც შეეხება ყოფილ ნაციონალებს, პასუხისმგებელი ვარ, როგორც „ქართული ოცნების“ მდივანი, რომ ასეთი პიროვნებები სიაში არ იქნებიან“.**

„პირველი“

„google-ში აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად შეყვანა პრობლემაა“

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ტალინში, კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, 2008 წლის ომის დროს საქართველოს უსაფრთხოება ციფრულ სფეროშიც დაირღვა: **„ჩემთვის დიდი პატივია, მივმართო აუდიტორიას, რომელიც, ჩემი რწმენით, ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. მინდა, საუბარი ნეგატიური მაგალითით დავიწყო. ჩამოვედი ქვეყნიდან, რომელმაც ექვსი წლის წინ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ძლიერი თავდასხმა განიცადა, განსაკუთრებით, ინტერნეტსფეროში. ჩვენი უსაფრთხოება და დაცულობა დაიკარგა რუსეთთან ომის დროს, რეალურ ფიზიკურ ომთან ერთად ის ციფრულ სფეროსაც შეეხო. ჩვენ კიდევ ბევრი სხვა პრობლემა განვიცადეთ. 2008 წლის კონფლიქტის დროს ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია განხორციელდა, მილიონნახევარი ადამიანი კი დევნილად იქცა. ახლა, როდესაც ჩვენ აფხაზეთს, ერთ-ერთ ოკუპირებულ რეგიონს, Google-ში ვეძებთ, ის სიაში როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ისეა შეყვანილი, რაც ძალიან პრობლემურია. ეს არღვევს იმას, რასაც ეროვნულ იდენტობას ვეძახით“**.

საქართველოს პრეზიდენტი სამუშაო ვიზიტით ესტონეთში პრეზიდენტ ტომას ჰენდრიკ ილვესის მიწვევით იმყოფება.

„პირველი“

ვაჟა ჩოხელი: „დუშელი ახალგაზრდები საინტერესო ინიციატივებით გამოირჩევიან და წარმატების მისაღწევად მაქსიმალურად შევუწყობ ხელს“

როგორ აპირებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი რაიონის მმართველობაში ახალგაზრდების ჩართვას და რა პროექტების განხორციელება იგეგმება 2014 წელს ადგილობრივი სტუდენტებისთვის?

ერუსუდან შელია
557-100-768

დუშეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა შიდამიგრაციაა — ახალგაზრდები მუდმივ საცხოვრებლად ქალაქს ირჩევენ და მამაპაპისეულ სახლს ტოვებენ. შედეგად, განსაკუთრებით, სასაზღვრო ზოლის მიმდებარე სოფლები, მოსახლეობისგან, პრაქტიკულად, დაცლილია. როგორ აპირებს ახალგაზრდა თაობის რაიონში დაბრუნებას და რა კონკრეტული პროექტები დაიგეგმა ამ მიმართულებით, „ვერსია“ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ ვაჟა ჩოხელს ესაუბრა.

— შარშან დუშეთის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე 2 289 700 ლარი ნაშთი დარჩა, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალურ პროექტზე გადანაწილდა. კერძოდ, ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრასთან ერთად, ხორხსა და სხვა მაღალმთიან სოფლებში უფასო ავტობუსები დავნიშნეთ, რომლებიც კვირაში ერთხელ ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება. წლების განმავლობაში, სოფელი ხორხში არ მოძრაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მოსახლეობას ფეხით უწევდა ათეულობით კილომეტრის გავლა, ავტობუსის დანიშვნით კი უდიდესი პრობლემა მოეხსნათ — საკუთარი პროდუქციის რეალიზების საშუალება მიეცათ; ამასთან, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტებისთვის მზადდება უფასო სამგზავრო ბარათები, 80-მდე განაცხადი გამგეობაში უკვე შემოსულია, ბარათებს კი უახლოეს მომავალში გავცემთ. მოგეხსენებათ, დუშეთი თბილისიდან 45 კილომეტრის დაშორებითაა, ამიტომ სტუდენტთა უმრავლესობა სასწავლებელში ყოველდღიურად რაიონიდან დადის. ვფიქრობ, მათი მშობლებისთვის გამგეობის ინიციატივა მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება.

— **დამეთანხმებით, ახალგაზრდებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სტიმული სპორტია. ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისთვის კონკრეტული პროექტები დაგეგმილი გაქვთ?**

— რამდენიმე დღის წინ, დუშეთში სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი იმყოფებოდა — უნარშეზღუდულთა პანსიონატს საჩუქრები გადავეცით. სპორტი დუშეთში ძალიან უყვართ. „ქართუ ფონდის“ ინიციატივით, უახლოეს მომავალში ღია ტიპის საჭიდაო დარბაზი აშენდება. ამასთან, ძიუდოს ფედერაციამ საჩუქრად საჭიდაო ხალიჩა, 30 კიმონო გადმოგვცა, რომელსაც ქვეშეთის სპორტულ დარბაზს გადავცემთ. აღსანიშნავია, რომ დუშეთის რაიონის საფეხბურთო გუნდიც წარმატებით ასპარეზობს, ახალგაზრდები მეორე ჯგუფში თამაშობენ და მოწინავე პოზიციებსაც იკავებენ. რამდენიმე დღის წინ კი, აზერბაიჯანში პრეზიდენტის თასის საერთაშორისო შეჯიბრზე, დუშელმა ახალგაზრდებმა ნიჩბოსნობის რვა სახეობაში ოქროს მედალი მოიპოვეს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი და მუნიციპალიტეტში თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზები ავაშენოთ. ფასანაურში სპორტულ დარბაზს უკვე ვარემონტებთ, ქალაქ დუშეთში კი მრავალფუნქციური დარბაზის მშენებლობას ვგეგმავთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მომავალი თაობის ცხოვრების ჯანსაღიწესით აღზრდა.

— **დუშეთის რაიონში ერთ-ერთი მწვავე პრობლემა სოფლების ახალგაზრდებისგან დაცლაა. რა მექანიზმებით ცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ე.წ. საზღვრის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დასახმარებლად დროებითი სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომელშიც დუშეთთან ერთად, კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტია ჩართული. კომისიის ფარგლებში, განათლებისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსება გადაწყდა. სამწუხაროდ, რაიონი ახალგაზრდებისგან მართლაც იცლება, მაგრამ პარლამენტში დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ერეკლე ტრიპოლსკის კომიტეტში მუშავდება მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ყოველდღიურ ყოფას საგრძნობლად შეუმსუბუქებს. რამდენიმე დღის წინ, ამ საკითხთან დაკავშირებით, გაერო-ს პროგრამი და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართა კონფერენცია, სადაც მაღალმთიან რეგიონებში არსებულ პრობლემებზე იყო საუბარი. შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, ბატონები: ერეკლე ტრიპოლსკი, გია ჟორჟოლიანი, მირიან წიკლაური და სხვ. ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგილაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი და გუბერნატორის მოადგილე კობა არაბული. კონფერენცია დუშეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ერეკლე ტრიპოლსკიმ გახსნა. შესაბამისი კანონის მიღება მთას მართლაც გადაარჩენს. მისასალმებელია და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მართლაც ზრუნვის საგანი ხდება მთა და მთის რეგიონები.

— **მოსწავლეებს სკოლაში მისასვლელად რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ. მოსახლეობა ბიბლიოთეკების აღდგენასაც ითხოვს...**

— მოგეხსენებათ, სკოლები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, თუმცა, თუ მოსწავლეს სკოლაში მისასვლელად გრძელი მანძილის დაფარვა უწევს, მას სკოლის ტრანსპორტი ემსახურება. რაც შეეხება ბიბლიოთეკების აღდგენის საკითხს, დეპუტატის, ერეკლი ტრიპოლსკის ინიციატივით, დაიწყო წიგნების შეგროვების აქცია. ასე რომ, უახლოეს მომავალში ყველა მაღალმთიან სოფელში ბიბლიოთეკა გაიხსნება. ამ მიმართულებით ბიუჯეტში შესაბამისი თანხაც გათვალისწინებული გვაქვს. პარალელურად, რამდენიმე კომპანიას მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ოპტიკურბოჭკოვანი კაბელი შემოჰყავს და თითოეულ ოჯახს მაღალი ხარისხის ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა ექნება. ახალგაზრდა თაობისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება: დუშეთის ყოფილი მესამე სკოლის ბაზაზე პროფესიული გადამზადების ცენტრის ჩამოყალიბებას ვგეგმავთ. ამის შესახებ სათანადო დოკუმენტები წარდგენილია განათლების სამინისტროში და იმედი მაქვს, საკითხი დადებითად გადაწყდება. სამწუხაროდ, რაიონში სპეციალისტების ნაკლებობაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ხელობა ადგილზევე შეისწავლონ. აღსანიშნავია ისიც, რომ ფონდი „საზოგადოებრივი თანადგომა“ კულტურის სამინისტროსთან ერთად შვიდ მაღალმთიან რეგიონში პროზაულ ნაწარმოებზე სახელწოდებით „მომავლის მწერალი“, კონკურსს ატარებს . 3 აპრილს, აღნიშნულ კონკურსს დუშეთის მუნიციპალიტეტმა, კერძოდ, №1- მა საჯარო სკოლამ უმასპინძლამ რომელშიც მონაწილეობა დამამთავრებელი კლასის 35 მოსწავლემ მიიღო. ღონისძიებას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე მარგიშვილი ესწრებოდა. მოსწავლეთა ნამუშევრებს მწერლებისგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური შეამოწმებს, გამარჯვებული კი, დასაჩუქრდება. 26 აპრილს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ინიციატივით, დუშეთის №1, №2, ფასანაურის, ბარისახოს, ჟინვალის, არაგვისპირის, ჭოპორტის, მჭადიჯვრისა და ოძისის საჯარო სკოლების 120 მოსწავლე თბილისის „მოძრაობის თეატრს“ ეწვია. სპექტაკლმა „გამა“ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

— **ახალგაზრდებს ხშირად ხვდებით, რამდენად ითვალისწინებთ მათ რჩევებს?**

— რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ... მოხარული ვარ, რომ საკმაოდ აქტიური ახალგაზრდობა გვყავს, საინტერესო ინიციატივებით გამოირჩევიან. ცოტა ხნის წინ, ახალგაზრდული სათათბიროც შექმნეს. შეხვედრისას ისინი აქტიურად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს, რაც ჩემთვის საინტერესო მოსასმენია, ასე რომ, ახალგაზრდების აქტიურობას ყოველთვის მივესალმები და წარმატების მისაღწევად მაქსიმალურად შევუწყობ ხელს.

m²-მა დოლარში დენომინირებული ობლიგაციები გამოუშვა

უნიკალური შანსი, ფული მაღალპროცენტიან ობლიგაციებში დააბანდოთ და m²-ის პროექტებში ფასდაკლებითაც ისარგებლოთ

m² მომხმარებელს სიახლეს სთავაზობს — ამიერიდან, შესაძლებლობა გექნებათ, ფული სარფიანად დააბანდოთ — დეველოპერული კომპანია ობლიგაციების ემისიას იწყებს.

ობლიგაციები აშშ დოლარშია დენომინირებული და ერთი წლის ვადა აქვს. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1000 აშშ დოლარია. წლიური საპროცენტო განაკვეთი კი საკმაოდ მაღალი — 9,5% (გადასახადებით დაბეგვრამდე). ნებისმიერ ფიზიკურ პირს ექნება საშუალება ობლიგაცია შეიძინოს და გარანტირებული შემოსავალი მიიღოს. ობლიგაციის დამატებითი უპირატესობაა ისიც, რომ მისი გასხვისებაც შესაძლებელია. m² -ის ობლიგაციების მთლიანი გამოშვება 5 მილიონი აშშ დოლარია. ობლიგაციების განთავსების აგენტი კი „საქართველოს ბანკის" შვილობილი საბროკერო კომპანია „ბიჯი კაპიტალი".

m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი ბურდილაძის განცხადებით, ამ ობლიგაციების გამოშვებით, დეველოპერული კომპანია დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაციას ახდენს და საქართველოში ამკვიდრებს თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას.

ირაკლი ბურდილაძე: „კომპანია m² მომხმარებელს კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ჩვენი კომპანიის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, ასევე ქვეყანაში ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გაჩენას. ეს კი უძრავი ქონების დეველოპმენტის, როგორც დარგის განვითარებაზე დადებითად აისახება. გადავწყვიტეთ, გამოგვეშვა დოლარში დენომინირებული ერთწლიანი ობლიგაცია, საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთში — 9,5% დაბეგვრამდე, დაბეგვრის შემდეგ კი საქართველოს რეზიდენტები მიიღებენ წლიურ 9% სარგებელს დოლარში ნომინირებულ ობლიგაციაზე. ეს გახლავთ საქართველოში პირველი შემთხვევა, როდესაც არასაფინანსო სექტორის კერძო კომპანიამ გამოუშვა ობლიგაციები. დასავლურ ბაზრებზე კორპორაციული ობლიგაციები ფართოდ გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტია. კომპანია m²-ის არსებული პროექტები დაფინანსებულია, როგორც კომპანიის კაპიტალით, ასევე მოზიდული თანხებით. ვმუშაობთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის ჰოლანდიის განვითარების ბანკთან, რომელმაც 20 მილიონი დოლარის საკრედიტო რესურსით დააფინანსა m²-ის იპოდრომის პროექტი. ეს თანხა წინსწრებით სრულად გაისტუმრა კომპანიამ. მას შემდეგ მოვიპოვეთ კიდევ ერთი დაფინანსება. ამჯერად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი გახლავთ, კანადის მთავრობასთან, კომპანია m²-ს 14 მილიონ დოლარამდე, მოცულობის საკრედიტო რესურსი გამოუყო, რომელიც განკუთვნილია სამი ენერგოეფექტური პროექტისთვის. მათგან კომპანიამ ორის მშენებლობა უკვე დაიწყო და საკმაოდ წარმატებით. მაგალითად, ყაზბეგის გამზირზე მდებარე სამშენებლო კომპლექსში, მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, კომპანია m²-მა უკვე გაყიდა ბინების 63%. მეორე პროექტი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარეობს და იქაც 77 ბინა უკვე გაყიდულია. ამ ფინანსური რესურსით ზაფხულში ვაპირებთ კიდევ ერთი პროექტის მშენებლობის დაწყებას თამარაშვილის ქუჩაზე".

m²-ის ობლიგაციის მისაღებად, მომხმარებელმა უნდა მიმართოს საბროკერო კომპანია „ბიჯი კაპიტალს" ან მის ფინანსურ შუამავალს —„საქართველოს ბანკს". ობლიგაციების მფლობელებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა ისარგებლონ ფასდაკლებით „m²"-ის მიერ მართულ პროექტებში.

კომპანია m² მომხმარებელს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებს — როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მალე m² -ის 2-ოთახიანი გარემონტებული ბინები, ჩაშენებული სამზარეულოთი და ტექნიკით, 29 ათას დოლარად გაიყიდება. თუმცა, ამ სასიამოვნო და სენსაციური პროექტის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელები დეტალურ ინფორმაციას საზოგადოებას უახლოეს მომავალში მიაწვდიან.

ნინო ლურსმანაშვილი

„ხშირად ჩამოვალ და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დავეხმარები"

მურატ ილდირიმის საქველმოქმედო მისია და გუდისწასვლამდე მისული ფანი ქალბატონების ემოციური დახვედრა

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ცნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი, რომელიც ქართველმა მაყურებელმა გაიცნო სერიალით „სიყვარული და სასჯელი", სადაც იგი ბიზნესმენ სავაშ ბალდარს განასახიერებს, საქართველოში საქველმოქმედო მისიით — ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ჩამოვიდა.

„მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით, ხშირად ჩამოვალ და ლეიკემიით დაავადებულ პატარებს დავეხმარები. თქვენი ქვეყანა ასე ახლოსაც რომ არ იყოს ჩემ სამშობლოსთან, ამას მაინც გავაკეთებდი", — განაცხადა პრეკონფერენციაზე ცნობილმა თურქმა მსახიობმა და იუნესკოს კეთილი ნების ელჩმა, მურატ ილდირიმმა, „დიმიტრი ცინცაძის საქველმოქმედო ფონდის" წევრებს კი მიმართა, — **„მეც მინდა, მხარში დაგიდგეთ. მადლობას გიხდით, კეთილ საქმეს რომ ემსახურებით. თუმცა მარტო ვერაფერს გავხდებით. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერაც, რადგან ხელისუფლების გადაწყვეტილებების გარეშე საქველმოქმედო ფონდებს მუშაობა გაუჭირდებათ".**

მურატ ილდირიმი ქართველმა მაყურებელმა გაიცნო სერიალით „სიყვარული და სასჯელი", სადაც ახალგაზრდა ბიზნესმენ სავაშ ბალდარს განასახიერებდა. სტუმარი რესტორან „ლა ტრუფეს" ეწვია, სადაც მცირე საქველმოქმედო აქციაზე მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა ლაივპროგრამაც წარმოადგინა.

„ზოგადად „ლა ტრუფეში" ვმღერი. თურქი მსახიობი რომ მოდის, კი მითხრეს, მაგრამ მის შესახებ ბევრ ინფორმაციას არც კი ვფლობ. ნამდვილ სახელს და გვარს ახლაც ვერ ვიხსენებ. სავაში გამიგია. ისე, ჩემს საახლობლო წრეში ამაზე საუბრობენ-მეთქი რომ გითხრათ, მოგატყუებთ", — გამოუტყდა „ვერსიას" მომღერალი.

სამაგიეროდ, რესტორნის შესასვლელთან თურქ სტუმარს ის ქალბატონები დახვდნენ, ვინც მის შესახებ ინფორმაციებსაც აგროვებს და ახლობლებთან ხშირად საუბრობს კიდეც.

„ჩვენ ვართ დიასახლისები. სავაშ ბალდარზე გაგიჟებული ფანები. სად არ ვყოფილვართ, რამდენ მსახიობს ვიცნობთ, მაგრამ ასეთი საყვარელი არავინაა. დღე და ღამე არ გვეძინა, სახლიდანაც არ გავდიოდით, მისთვის რომ გვეყურებინა. კაცი, ასე, გამოხედვით, მიმიკებით თამაშობდეს, სადმე გინახავთ? თითქოს ყველას თვალებით გვეფერება და გველაპარაკება. ოქროს ბიჭია! რომ მოვა, დავიბნევი, შეიძლება ცუდად გავხდე, რომ დავინახავ", — ემოციას არ მალავდნენ მურატ ილდირიმის ფან-კლუბის წარმომადგენელი შუახნის ქალბატონები.

„ლა ტრუფეში" სადილობის შემდეგ მსახიობმა, იაშვილის კლინიკაში, ლეიკემიით დაავადებული პატარები მოინახულა და განაცხადა — კარგი იქნებოდა ბავშვები უკეთეს პირობებში მკურნალობდნენო.

მურატ ილდირიმის ვიზიტთან დაკავშირებით, დეტალების დასაზუსტებლად, კულტურის პალატის ხელმძღვანელს, დავით ოქიტაშვილს დავუკავშირდით, რომელიც მსახიობს ოფიციალური პრესკონფერენციის დროს გვერდს უმშვენებდა. **„მურატ ილდირიმის მოწვევის ინიციატორი გახლავთ ჟურნალისტების მიერ ჩამოყალიბებული „დიმიტრი ცინცაძის ფონდი", კერძოდ ნინელი ფუტკარაძე — ადამიანი, რომელიც მსახიობს პირადად დაუკავშირდა, მე კი ისეთ საორგანიზაციო საკითხებში ვეხმარებოდი, როგორიცაა დახვედრა, მიღება, სატუმროში მოთავსება..."** — განაცხადა „ვერსიასთან" საუბრისას **დავით ოქიტაშვილმა**.

დიმიტრი ცინცაძის ფონდის წარმომადგენელმა, **ნინო თოლორდავამ** კი გაგვიმხილა, რატომ მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოში მაინცდამაინც ეს მსახიობი მოეწვიათ: **„ამ მსახიობს საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. გარდა ამისა, ჩვენი სტუმარი გახლავთ იუნესკოს კეთილი ნების ელჩი და საქართველოში სრულიად უანგაროდ ჩამოვიდა. მცხეთაში, ერთ-ერთ რესტორანში გამართულ საქველმოქმედო საღამოზე, გაყიდული ბილეთების სახით შემოსული თანხა მთლიანად ფონდში გადაირიცხება და მოხმარდება ბავშვებს".**

„ვერსიის" ინფორმაციით, აღნიშნულ ღონისძიებაზე ორგანიზატორებმა პოლიტიკოსებიც დაპატიჟეს. კერძოდ, „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი დავით ნარმანია. როგორც შევიტყვეთ, ნარმანია ღონისძიებაზე მისვლას აპირებდა, მაგრამ ბოლოს იმ მიზეზით გადაიფიქრა, მავანმა ეს ნაბიჯი წინასაარჩევნო კამპანიად არ ჩამითვალოსო. „ვერსია" დაინტერესდა, რატომ მიიღო მოსაწვევი მერობის კანდიდატმა და კიდევ რომელი პოლიტიკოსები იყვნენ ღონისძიებაზე მიწვეულები, რაზეც ნინო თოლორდავამ განგვიცხადა: **„გავიგე, რომ დავით ნარმანია დაპატიჟებული იყო, თუმცა კონკრეტულად ვისგან, ნამდვილად არ ვიცი. ამ საქველმოქმედო საღამოზე ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ბრძანდებოდა".**

„სანამ ქართულ-აზერბაიჯანული მხარეები არ შეთანხმდებიან, ბერთუბანში შესვლა გამორიცხულია“

დავითგარეჯა — ორ ქვეყანას შორის „გახლეჩილი“ მონასტერი

შეძლებენ თუ არა მომლოცველები გიორგობის დღესასწაულზე ისტორიულ ჰერეთში უპრობლემოდ გადასვლას

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

დავითგარეჯას მონასტრის ბერები მონასტრის მთელ ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გადაადგილებისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების გადაწყვეტილებას ელოდებიან. როგორც მონასტრის წინამძღოლმა, **მამა ილარიონმა** განაცხადა, საზღვრის პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ არაფერი შეცვლილა, თუმცა ეუბნებიან, რომ ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს. მისივე თქმით, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან იმავე ადგილას, სადაც შეთანხმდნენ ორი წლის წინ, გარეჯში ჩატარებული აქციის შემდეგ: **„ორი წლის წინ, 21 მაისის ამბების შემდეგ დადებული პირობა დღემდე სრულდება. აღდგომის ტაძრამდე მომლოცველები და ვიზიტორები ჩვეულებრივ, დაუბრკოლებლად მიდიან. სანამ მოლაპარაკებები არ დასრულდება, მესაზღვრეები ხელს არ შეუშლიან. არაფერი შეცვლილა. ველოდებით საკითხის გადაწყვეტას“.**

მამა ილარიონის თქმით, აღდგომის ტაძარს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები თავის საზღვრად მიიჩნევენ, მაგრამ მომლოცველებს იქ მისვლას არ უშლიან: **„აზერბაიჯანელი მესაზღვრეები, ძირითადად, წმინდა ილიას ნიშთან დგანან, რომელიც აღდგომის ტაძრის მახლობლადაა, თუმცა იქ მუდმივად არ იმყოფებიან“.**

მისივე თქმით, გარეჯის მონასტრის ნაწილი, ბერთუბანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და იქ შესვლას ბერებიც ვერ ახერხებენ. ასეთი მდგომარეობა დაახლოებით 10 წლის წინ შეიქმნა, შარშან ბერები იქ შესვლის პრობლემას წააწყდნენ: **„სანამ სამთავრობო დონეზე შეთანხმება არ მოხდება, ბერთუბანში შესვლა გამორიცხულია“.**

თავის მხრივ, დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსი **მელქისედეკ ხაჩიძე** იმედოვნებს, რომ ქრისტიანულ დღესასწაულებზე ისტორიულ ჰერეთში ჩასასვლელად ქართველ მომლოცველებს საზღვარზე პრობლემები არ შეექმნებათ.

ეპისკოპოსი მელქისედეკი აღნიშნავს, რომ წინასწარ ძნელია თქმა, შეიქმნება თუ არა პრობლემები აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის დროს, თუმცა ჯერჯერობით, გადასვლას ახერხებენ.

ამასთან, მეუფემ არც უარყო და არც დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, შარშან გიორგობის დღესასწაულზე შექმნილი პრობლემების შესახებ, როდესაც მეუფე მელქისედეკსა და მრევლს საზღვრის გადაკვეთის პრობლემა შეექმნა და ქურმუხში ვერ ჩავიდნენ: **„გადასვლასთან დაკავშირებით სირთულეები შეიძლება იყოს, შეიძლება — არა... ახლა ამაზე ვერავინ ვერაფერს იტყვის, ვნახოთ, რა მოხდება, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება“.**

აზერბაიჯანში, კახის რაიონში, რომელიც ეროვნებით ქართველებითაა დასახლებული, მხოლოდ ორი მოქმედი ქართული ტაძარია: კახის წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს სახელობის ტაძრები, სადაც მხოლოდ ერთი ქართველი სასულიერო პირი, არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი მსახურებს. ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში მსახურება არ მიმდინარეობს.

დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსსა და კახის რაიონის წმინდა გიორგის სახელობის ქურმუხის ტაძარში წირვა-ლოცვის ჩატარებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი **აბულფაზ გარაევი** პრინციპულ სირთულეებს ვერ ხედავს. როგორც მინისტრმა თბილისში ვიზიტისას განაცხადა, დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის იმ მონაკვეთზე, რომელიც აზერბაიჯანის მხარესაა მოქცეული, მომლოცველებსა და ტურისტებს გადასვლა დაუბრკოლებლად შეუძლიათ: **„ორივე მხარემ, საქართველომ და აზერბაიჯანმა მოვახერხეთ, დავითგარეჯაში მომლოცველებს დაბრკოლებების გარეშე შეუძლიათ დაათვალიერონ სამლოცველო გამოქვაბულები. ეს ტერიტორია აზერბაიჯანის ეროვნულ პარკშია მოქცეული და აზერბაიჯანის ხელისუფლება პასუხისმგებელია, საერთაშორისო კონვენციები დაიცვას“.**

აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის განმარტებით, ახლახან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კახის რაიონში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში საეკლესიო რიტუალები კვირაში ერთხელ, პარასკევს ჩატარდება: **„უკვე არსებობს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, კვირაში ერთ დღეს, პარასკევს იქ ჩატარდება რელიგიური ღონისძიებები, რომლებსაც მომლოცველები უპრობლემოდ დაესწრებიან. სხვა დღეებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ტურისტებისთვის იქნება განკუთვნილი“.**

აბულფაზ გარაევმა ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერის შესახებაც ისაუბრა, სადაც აღნიშნულია, რომ ტაძარი ალბანური წარმოშობისაა: **„კავკასიაში ქრისტიანობა ალბანეთიდან შემოვიდა. აზერბაიჯანელებიც მე-8 საუკუნემდე ქრისტიანები ვიყავით და შემდეგ გავრცელდა ჩვენთან ისლამი. უნდა ვაღიაროთ ალბანური სახელმწიფოს გავლენა რელიგიასთან დაკავშირებით. ეს საერთო კულტურის ძეგლებია. აზერბაიჯანის ხელისუფლება ვალდებულებას იღებს, დაიცვას, დააკონსერვოს ისინი და მათი რესტავრაცია მოახდინოს“.**

მისივე ინფორმაციით, ქართველებით დასახლებულ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მალე ქართული კულტურის სახლი გაიხსნება, რაც ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების განვითარებას შეუწყობს ხელს: **„მალე ქართული კულტურის ცენტრი გაიხსნება აზერბაიჯანში. ჩვენმა სახელმწიფომ ახლახან შეკვეთა მისცა აზერბაიჯანში მდებარე ქართულ თეატრს. ახალი პროექტები განხორციელდება და გასტროლებიც იგეგმება“.**

საქართველოსა და აზერბაიჯანს 446 კმ-იანი საერთო საზღვარი აქვს, რომელიც ჯერ კიდევ არაა დელიმიტირებული. განსაკუთრებით მწვავედ დგას დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის პრობლემა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით, საზღვრით ორადაა გაყოფილი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მზადაა, დაიწყოს მოლაპარაკებები ტერიტორიების გაცვლის შესახებ, აზერბაიჯანის მხარეზე მდებარე, დავითგარეჯას ნაწილის სანაცვლოდ, ვინაიდან კომპლექსი ქართველებისთვის ისტორიულ და კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს. ოფიციალურმა ბაქომ გამორიცხა ამის შესაძლებლობა და მიზეზად სადავო ტერიტორიის სამხედრო–სტრატეგიული მნიშვნელობა დაასახელა. ამას გარდა, წლების წინ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ მონასტერი კავკასიელი ალბანელების (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარსულში მობინადრე გადაშენებული ერი) საცხოვრებელი იყო. პასუხად, საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ამ განცხადებას „აბსოლუტურად გაუგებარი“ უწოდა და აზერბაიჯანელ დიპლომატს მსოფლიო ისტორიის გადაკითხვა ურჩია. მოგვიანებით, ბაქომ გამოთქვა მზადყოფნა, კომპლექსის საერთო ტურისტულ ზონად გადაქცევის თაობაზე, თუმცა ამ იდეის გაჟღერებამ ქართულ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ განაცხადა: **„მონასტერი ქართული სიწმინდეა და ის მთლიანად ქართულ ნიადაგზე უნდა იდგეს“.**

იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ბავშვის ახლობლებსა და ექიმებს შორის დაპირისპირება მოხდა

იაშვილის სახელობის კლინიკაში გარდაცვლილი წლინახევრის ბავშვის, დავით ვეფხვაძის ახლობლებსა და კლინიკის ექიმებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

როგორც ოჯახის ახლობლები ამბობენ, ისინი არ ეთანხმებიან ექიმების განცხადებას, რომ ბავშვს თანდაყოლილი პათოლოგიური დაავადება ჰქონდა. მათი განცხადებით, ბავშვის მკურნალმა ექიმმა, იაშვილის კლინიკის პროფესორმა, რესპირატორული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პაატა გეწაძემ ოჯახს ფორმა 100 არ მისცა, რომ ბავშვი კლინიკიდან გაეყვანათ და სამკურნალოდ ისრაელში გადაეყვანათ. მათივე მტკიცებით, ბავშვს არავითარი პათოლოგია არ ჰქონდა და ექიმისგან მიიღეს დაპირება, რომ გამოჯანმრთელდებოდა.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც კლინიკის ექიმებმა აღნიშნული პაციენტის ბაბუის მიერ პაატა გეწაძის ცემასთან დაკავშირებით აქცია გამართეს. ექიმების თქმით, ბოლო დროს ექიმებზე თავდასხმა გახშირდა, რაც მიუღებელია.

როგორც ექიმმა ანესთეზიოლოგმა, მაია ჯავახიშვილმა განაცხადა, შეშინებული ექიმი კარგი მკურნალი ვერ იქნება და არ შეიძლება, საზოგადოებაში დაინერგოს აზრი, რომ ყველაფერში ექიმია დამნაშავე.

ოჯახის წევრები კი აპროტესტებენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს გარდაცვლილი ბავშვის ბაბუა მიმალვაშია. მათი თქმით, იგი სახლშია და „ბავშვს დასტირის“.

წლინახევრის დავით ვეფხვაძე იაშვილის სახელობის კლინიკაში 25 აპრილს გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი მწვავე რესპირატორული დაავადება გახდა. ამასთან, კლინიკის ექიმების ცნობით, გარდაცვლილი ბავშვის ბაბუა 28 აპრილს საავადმყოფოში მივიდა და ექიმს ფიზიკურად გაუსწორდა.

იაშვილის კლინიკაში მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს მარეგულირებელ კომისიას საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია. კლინიკის ერთ-ერთი ექიმის, მაია ჯავახიშვილის განმარტებით, ბავშვის შესახებ ყველა დოკუმენტი სამინისტროს გადაეგზავნა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ დასკვნას დადებს: **„ყველანაირი დოკუმენტი გადავეცი ჯანდაცვის სამინისტროს, რომელიც შემდეგ გამოაქვეყნებს ბავშვის ისტორიას და შესაბამისად, დადებს დასკვნას. ჩვენი მიზანია, ყველაფერი ბოლომდე გაირკვეს და თუ ვინმე დამნაშავეა, შესაბამისი სასჯელი დაეკისროს“.**

ჯავახიშვილის თქმით, სამართალდამცავ ორგანოებს ასევე დაწყებული აქვთ გამოძიება ბავშვის ბაბუის მხრიდან ექიმის ცემის ფაქტზე. პატრულმა ჩამოართვა ჩვენებები თავად დაზარალებულს და იქ მყოფებს. ამასთან, იაშვილის კლინიკაში ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ექიმის რაიმე ბრალეულობას უარყოფენ. მაია ჯავახიშვილი აცხადებს, რომ ბავშვი გამოირჩეოდა დაბადებიდან სუსტი ჯანმრთელობის მდგომარეობით. მისივე თქმით, საავადმყოფოს ექიმების მხრიდან ბავშვის უცხოეთში გაგზავნის თაობაზე არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა.

„ინტერპრესნიუსი“

„მოლოდინი გვაქვს, რომ დაკავებულ ქართველებს მალე გაათავისუფლებენ“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ საოკუპაციო ხაზთან დაკავებულ ქართველებს უახლოეს მომავალში გაათავისუფლებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, გოჩა რატიანის ინფორმაციით, ხაშურის რაიონის სოფელ კლდისწყაროს ორი მკვიდრი — ბესიკ გელაშვილი და გიორგი ხარაიშვილი, ასევე სოფელ წერონისიდან გაუჩინარებული მერაბ კაპანაძე რუსმა სამხედროებმა 3 დღის წინ დააკავეს და ამჟამად ცხინვალის იზოლატორში არიან გადაყვანილნი: **„დაგვიდასტურეს ინფორმაცია მათი დაკავების შესახებ. ვმუშაობთ ამ საკითხზე ყველა რესურსით, რაც გაგვაჩნია. ცალ-ცალკე არ განვიხილავთ ამ შემთხვევებს, ერთიანად ვმუშაობთ და მოლოდინი გვაქვს, რომ მათ უახლოეს პერიოდში გაათავისუფლებენ“.**

„ინტერპრესნიუსი“

„ლაიქის" გამო ციხეში მოხვდა

ქალაქ მემფისის მცხოვრები მამაკაცი ციხეში მხოლოდ იმის გამო მოხვდა, რომ სოციალურ ქსელში „დაალაიქა" ვიდეო, რომელიც მისი ყოფილი საყვარლის კედელზე იყო ატვირთული, თუმცა არც უფიქრია, რომ სასამართლომ ამ ქალთან მიახლოება, აუკრძალა. ტადეუშ მეთიუზსა და როვანა მერფის რომანი ჰქონდათ, რომელიც სასამართლო პროცესით დასრულდა. როცა ქალმა შენიშნა, რომ ექსპარტნიორს მის გვერდზე განთავსებული ვიდეო მოეწონა, დაუყოვნებლივ გაიქცა პოლიციაში და შედეგად, ტადეუში დააპატიმრეს სასამართლოს დადგენილების დარღვევის გამო.

ყველაზე სასარგებლო სასმელი

დიეტოლოგებმა იმ სითხის სია შეადგინეს, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამიტომ მუდამ უნდა იყოს ჩვენს რაციონში:

პირველ ადგილზე სასმელი წყალი აღმოჩნდა, რომელიც უჯრედებს ავსებს ჟანგბადით და აახლებს მათ. სიმსუქნე და ნაადრევი დაბერება არ გემუქრებათ, თუ რეგულარულად სვამთ წყალს.

პიტნის ჩაი — დაღლილობა, ცუდი ძილი, საჭმლის მონელება... ეს არასრული ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომელსაც ეს სასმელი ადვილად მოაგვარებს. მესამე საფეხური დაიკავა მწვანე ჩაიმ — მის სასარგებლო თვისებებზე ბევრია ნათქვამი — ფლავონოიდები და ანტიოქსიდანტები დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე და ორგანიზმს იცავს ონკოლოგიური დაავადებებისგან. სოიოს რძეში ჭარბადაა ამინომჟავები, რომელიც ორგანიზმს ქოლესტერინისგან წმენდს, უცხიმო რძე კი კალცის, D-ვიტამინისა და ცილების დიდი რაოდენობის შემცველობით გამოირჩევა.

ლიკოპინის წყალობით, რომელსაც სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები აქვს, ტომატის წვენიც შესაფერის ადგილს იკავებს ტოპ-ათეულში, შემდეგი კი ფორთოხლის წვენია, რომელიც ხსნის დაღლილობას და იმუნიტეტს აძლიერებს. კაკაო და ცხელი შოკოლადი ადვილად უმკლავდება თავისტკივილს და განწყობასაც აუმჯობესებს. ყველაზე სასარგებლო სასმელის საუკეთესო ათეულს კი ვიტგრასი ასრულებს, რომელსაც ხორბლისგან ამზადებენ და ის მდიდარია მინერალებით, ვიტამინებითა თუ ანტიოქსიდანტებით.

ქუყვარეჭყლთან დასაშორებლად ეასუქდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ლუიზა მაკელხინი სპეციალურად იმატებდა წონაში, შეყვარებულს რომ დაშორებოდა. ეს „ოცნება" რომ აესრულებინა, ლონდონელი ქალბატონი რეგულარულად იღებდა მაღალკალორიულ და არაჯანსაღ საკვებს, რის შედეგადაც მისმა წონამ 114 კილოგრამს მიაღწია. ლუიზა აცხადებს, რომ ახალგაზრდობაში ყოველთვის მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა, ბედნიერი და თავდაჯერებული იყო, მაგრამ ერთი ბიჭის გამო ყველაფერი შეიცვალა. საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი, — ამბობს ქალი და აღიარებს, დიდი ხნის ნანატრი დაშორების შემდეგ ფორმაში ჩადგომა საკმაოდ გაუჭირდა — მაღალ ქუსლებზე შედგომისა და ლამაზი კაბების ჩაცმის იმედი აღარც კი ჰქონდა, მაგრამ კვების მკაცრი რეჟიმის შემდეგ, ლუიზამ ფორმის აღდგენა მაინც მოახერხა.

გადაღლილობა — საუკუნის სენი

დაძაბულობა და გადაღლილობით გამოწვეული დაავადებები ადამიანების გარდაცვალების მიზეზი სულ უფრო ხშირად ხდება. დატვირთული სამუშაო გრაფიკით გამოწვეული სტრესი, შესაძლოა, ინფარქტითაც დამთავრდეს. „მუშაობით გადამწვართა" რაოდენობა ჩინეთში, ყოველწლიურად, ნახევარ მილიონს აღემატება. სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველწლიურად, გადაღლილობის გამო, 600 ათასზე მეტი ადამიანი კვდება. უმრავლესობა, სტრესის გამო, ექიმთან არ მიდის, მაგრამ თუ პრობლემას თავად ვერ უმკლავდებიან, აუცილებლად პროფესიონალებს უნდა მიმართონ, — აცხადებენ მედიკოსები და აქტიურად მომუშავე მოქალაქეებს ურჩევენ, დაძაბულობა მარტივი ფიზიკური ვარჯიშითა და კომპიუტერთან მუშაობისას რეგულარული შესვენებით მოიხსნან.

ელექტროშოკი მეხსიერებას წაშლის?

მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ელექტროშოკის თერაპიით ტვინიდან ცუდი მოგონებების წაშლა შესაძლებელია და მედიკოსებს საშუალება მიეცემათ, განკურნონ ძლიერი დეპრესია. ნეიმეგენის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაკვირვებას 42 პაციენტზე აწარმოებდნენ, რომელთაც კლინიკური დეპრესიის მკურნალობისთვის სწორედ ელექტროშოკი დაუნიშნეს — სლაიდ-შოუში ორი სტრესული ამბავი დააფიქსირეს, რომელიც პაციენტებს სიმშვიდეს უკარგავდა — ავტოავარია და ფიზიკური ძალადობა. მკურნალობის პირველსავე დღეს, როცა ექსპერიმენტის მონაწილეებს ამ ამბების ეპიზოდის გახსენება სთხოვეს, უმეტესობამ ვერაფერი გაიხსენა, ნაწილმა კი მხოლოდ ბუნდოვანი კადრები აღიდგინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ტკივილს აღარ გრძნობდნენ და ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ რაღაცისგან გათავისუფლდნენ. ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ელექტროშოკური თერაპია პროცესს გარკვეული დროით ბლოკავს, თუმცა სწავლულები აღნიშნავენ, რომ ეს ძალიან ფაქიზი თემაა და თერაპიის დანერგვა მხოლოდ მისი შესწავლის შემდეგ შეიძლება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი"

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		2	8	6				
					7		8	
			5			9	7	6
	3	4			9			
		6	4		3	2		
			7			5	4	
4	2	1			8			
	9		3					
				4	2	6		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			4	1			7	3
			6		7		2	
		5						
	1			6				2
	9	4		3		1	5	
3				9			6	
						4		
	6		8		3			
8	2			4	1			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	8		4	5				9
	2			8			4	6
			2					3
						3		1
	7		3		4		5	
1		3						
5					7			
9	4			3			6	
2				4	1		9	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4		3			9		
				7	6			4
		7					3	
5		8	9				2	
4			6		1			5
	7				3	4		8
	9					8		
8			7	2				
		1			8		6	

მკურნალობის უჩვეულო ხალხური მეთოდები

ბევრი ჩვენგანი, როგორც კი თავს გაციების პირველ ნიშნებს შეატყობს, ცდილობს, ცხელი ჩაი მიირთვას ლიმნით, თაფლით ან ჟოლოთი, ყელში სოდიანი წყალი გამოივლოს ან მკურნალობის სხვა ხალხურ მეთოდებს მიმართოს. მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის საკუთარი, ხალხური მეთოდები არსებობს. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

ელექტროშოკი თავისტკივილის წინააღმდეგ — ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ თავისტკივილის დაამება ელექტრული შოკით შეიძლება, რომელსაც გველთევზასგან იღებდნენ. სხვათა შორის, თევზებს, რომელთაც შეუძლიათ ძაბვის გამომუშავება, არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ ბევრი ქვეყნის მედიცინაში იყენებდნენ. ასე, ეგვიპტელები ელექტრული გველთევზების წყალობით, რევმატიზმსა და ციებ-ცხელებას მკურნალობდნენ.

ხახვი მაღალი ტემპერატურის დროს — კანადელებს მიაჩნიათ, რომ სხეულის მაღალ ტემპერატურას მალე დააგდებთ, თუკი ავადმყოფის ქუსლებს უმ ხახვს დაადებთ.

ყურის გოგირდი ჰერპესისთვის — ამერიკელები გვთავაზობენ, დღეს ფართოდ გავრცელებულ ჰერპესს ყურის გოგირდით ვიმკურნალოთ. საამისოდ საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად წაუსვათ ჰერპესის ბუშტუკებს ეს გოგირდი.

ობობა მალარიის წინააღმდეგ — მიუხედავად იმისა, რომ მალარია უფრო ხშირად ტროპიკულ ქვეყნებში გვხვდება, ვიდრე ევროპაში, ამ დაავადებისგან განკურნების ყველაზე საინტერესო საშუალება ნისლიან ალბიონზე იციან. ბრიტანეთის მცხოვრებლები ადრე დარწმუნებული იყვნენ, რომ მალარიის დროს ავადმყოფს აბივით დაპრესილი... ობობას ქსელი შველის, საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის კი პაციენტმა ობობაც უნდა მიირთვას, სასურველია, მწერი ცოცხალი იყოს.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	4	8	3	1	2	9	7	6
3	2	7	9	8	6	5	4	1
6	1	9	7	5	4	3	2	8
2	8	5	6	7	9	1	3	4
1	9	6	5	4	3	2	8	7
7	3	4	8	2	1	6	9	5
9	7	3	4	6	5	8	1	2
4	6	2	1	9	8	7	5	3
8	5	1	2	3	7	4	6	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	1	5	9	6	7	3	2	8
3	9	8	2	5	4	1	6	7
2	6	7	8	3	1	5	9	4
9	7	6	1	8	3	4	5	2
5	4	2	7	9	6	8	3	1
1	8	3	5	4	2	9	7	6
8	3	4	6	7	5	2	1	9
7	5	1	4	2	9	6	8	3
6	2	9	3	1	8	7	4	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	6	5	4	3	2	1	9	8
8	1	4	7	9	5	6	3	2
2	9	3	1	8	6	7	5	4
1	5	2	6	7	4	3	8	9
6	8	9	5	2	3	4	7	1
4	3	7	9	1	8	5	2	6
9	7	8	3	6	1	2	4	5
3	4	6	2	5	9	8	1	7
5	2	1	8	4	7	9	6	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	4	9	5	1	8	7	3	6
7	1	6	3	2	4	9	8	5
8	5	3	9	7	6	4	2	1
6	7	8	4	5	3	1	9	2
4	9	5	2	6	1	8	7	3
3	2	1	8	9	7	6	5	4
9	3	4	1	8	5	2	6	7
5	8	7	6	4	2	3	1	9
1	6	2	7	3	9	5	4	8

მე-12 გვერდი: 1. კიმპალი; 2. აბუჯა; 3. ბოგდიხანი; 4. ჯანიშინი; 5. ავრალი; 6. ვარიანი; 7. აზია; 8. აგენტი; 9. ტვი; 10. პეშტი; 11. ბრაილი; 12. ბასილისკო; 13. აჯასპი; 14. ხვიჩა; 15. ბაო; 16. ოინი; 17. მაინ; 18. ნამჯა; 19. ჩე; 20. სია; 21. ოსპი; 22. ბუერი; 23. ინია; 24. მოგვი; 25. აიკიდო; 26. სიმონ; 27. უთო; 28. მორგან ფრიმენი; 29. გაბორონე; 30. ასეპტიკა; 31. პიანოლა; 32. ზვიგენი; 33. ბის; 34. რუბლი; 35. ნინია; 36. ბემბი; 37. გეა; 38. დასი; 39. ზიპი; 40. მზე; 41. ბრუნო; 42. რიმინი; 43. ოსკარი; 44. ჰომეროსი; 45. მინდი; 46. ბაბუა; 47. ჰორნი; 48. ნოე; 49. დოფინი; 50. ილფი; 51. მურმან; 52. სილი; 53. პიონი; 54. „ბიბისი“; 55. მემფისი; 56. მურილიო; 57. საკე; 58. ოლე; 59. მნე; 60. არბიტრი; 61. ემისარი; 62. ელიოზი; 63. რუკა; 64. ნისლი; 65. ურიკა; 66. როლანი; 67. ოფლი; 68. ელი; 69. ორაკული; 70. იოტი; 71. სიამი; 72. „ასი“; 73. ერა; 74. აჩუ; 75. ტერ; 76. მასტიფი; 77. ინა; 78. ფრონე; 79. ზარხუფი; 80. ნობილე; 81. ალბა; 82. კანოე; 83. კივი; 84. ბუი; 85. კატორღა; 86. ჩიკორი.

ყავა თვალის დაავადებების წინააღმდეგ

ყავის მოყვარულებს ნაკლებად ემუქრება თვალის ისეთი დაავადების განვითარება, როგორიც ბლეფაროსპაზმია, — მიიჩნევენ იტალიელი სპეციალისტები. მათი მონაცემებით, ყავის დამცავი ეფექტი ყოველდღიურად ერთი ფინჯანი ამ მაცოცხლებელი სასმელის მიღებით მიიღწევა. ბლეფაროსპაზმი — დისტონიის სახელით ცნობილი ნევროლოგიური დაავადების ერთ-ერთი ფორმაა. მას თვალის ორმხრივი მოჭუტვა ახასიათებს, რაც თვალის წრიული კუნთის შემცირებითაა გამოწვეული. დაავადების საწყის სტადიაზე ადამიანს თვალების ხშირი ხამხამი და გაღიზიანება აწუხებს, შემდეგ სპაზმები უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ხდება, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას: პაციენტს არ შეუძლია კითხვა, ტელევიზორის ყურება, ქუჩაზე გადასვლა... როგორც ცნობილია, ბლეფაროსპაზმი 50 წელს გადაცილებულ ქალბატონებში გვხვდება.

გამოკვლევაში, რომელიც ბარის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს, ბლეფაროსპაზმით დაავადებულები მონაწილეობდნენ. ნევროლოგები შეეცადნენ, დაავადების განვითარებასა და მიმდინარეობაზე ისეთი ჩვევების გავლენა შეემოწმებინათ, როგორიცაა მოწევა და ყავის მოხმარება. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, ვინც ამ „ღვთიურ სასმელს“ რეგულარულად მიირთმევდნენ, ნაკლებად იტანჯებოდნენ თვალის დაავადებით, თანაც ყავის დამცავი მოქმედება სასმელის დოზის გაზრდით მატულობდა. მიღებული ყავის მოცულობა გავლენას ახდენდა იმაზეც, რა ასაკში განვითარდებოდა ბლეფაროსპაზმი. გაირკვა, რომ დღეში ყოველი ზედმეტი ფინჯანი ყავა დაავადების განვითარებას 1,7 წლით აფერხებდა. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ მოწევა არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა ამ ნევროლოგიურ დარღვევაზე.

სწავლულთა თქმით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყავის დამცავი ეფექტი კოფეინითაა განპირობებული, რადგან ეს ნივთიერება ტვინის იმ რეცეპტორებს ბლოკავს, რომლებიც ტრემორის (კანკალი, ცახცახი) განვითარებაზეა პასუხისმგებელი.

დეპრესია — ყველაზე ძვირადღირებული დაავადება

სპეციალისტების განცხადებით, ადამიანის დათრგუნული მდგომარეობა სახელმწიფოს ძვირი უჯდება. დეპრესია — ფსიქიკის მეტად გავრცელებული აშლილობაა, რომელიც შეიძლება ფარული სიმპტომებით მიმდინარეობდეს და ორ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, რომელიც 1990-2010 წლებში მიმდინარეობდა, ქვეყნის ბიუჯეტს ყველაზე მეტად დეპრესიული აშლილობა ურტყამს. სწავლულებმა ქვინსლენდის უნივერსიტეტიდან გააანალიზეს მონაცემები დაავადების გავრცელების, მისი დონის, ხანგრძლიობის, რეციდივების სიხშირის, სიკვდილიანობისა (სუიციდი) და გართულებული დაავადებების (მაგალითად, გულის იშემიური დაავადების) მხრივ. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მძიმე დეპრესიული მდგომარეობა 20-30 წლის ასაკზე მოდის, განსაკუთრებით კი ქალები ზარალდებიან, ხოლო დეპრესიული აშლილობა მეორეა იმ დაავადებათა ჩამონათვალში, რომლის გამოც ადამიანი შრომისუუნარო ხდება.

ნიორი მდერად ბაქტერიებს ებრძვის

ნიორი ისეთ ნაერთებს შეიცავს, რომელიც ყველაზე მდგრად ბაქტერიებს ანეიტრალებს, მათი კავშირის სისტემა მწყობრიდან გამოჰყავს და არ აძლევს საშუალებას, გამოყონ ტოქსინი რამნოლიპიდი, რომელიც სისხლის თეთრ უჯრედებს ანადგურებს, ეს უჯრედები კი, თავის მხრივ, ორგანიზმს ინფექციებისგან იცავს. როცა პათოგენები ერთად გროვდება და მდგრად ფენას — ბიოფირფიტას ქმნის ორგანული მასალისგან, ის მეტად მდგრადი ხდება ანტიბიოტიკების მიმართ. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ბაქტერია სეუდომონას აერუგინოსა, რომელიც პაციენტებში ქრონიკულ წყლულს ფეხზე და ფილტვების პრობლემებს იწვევდა. როცა ამ ბაქტერიის ბიოფირფიტა დაამუშავეს ანტიბიოტიკებით, მცირე ეფექტის მიუხედავად, დამატებითი პრეპარატების მოძიება გახდა საჭირო, აჯოენის დამატებამ კი სრულად შეცვალა სურათი — ბაქტერიების 90% განადგურდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ნიორში ცოტა აჯოენია და ეფექტის მისაღებად ადამიანმა, დაახლოებით, 50 თავი უნდა მიირთვას.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

ღაიჯესტი

ყველაზე ძვირფასი iPhone

მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი, ოქროთი და ბრილიანტებით შემკული iPhone 16, 7 მილიონი დოლარი ღირს. სმარტფონი iPhone 5 Black Diamond ბრიტანელმა დიზაინერმა სტიუარტ ჰიუზმა, ჰონგკონგელი ბიზნესმენის შეკვეთით შარშან შექმნა, ახლა კი ეს მოდელი სერიულ სტატუსს მიიღებს და ბრიტანელი იუველირის ოფიციალურ საიტზე ყველა მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი. სმარტფონის კორპუსი 24-კარატიანი ოქროთია დამზადებული და 600 ბრილიანტითაა შემკული, დამატებით, 53 ძვირფასი ქვა კი „ეპლის“ ლოგოტიპის შექმნას დასჭირდა. ტელეფონის წინა პანელი მთლიანად საფირონის შუშითაა დამზადებული, წინა ღილაკი კი 26-კარატიანმა შავმა ბრილიანტმა ჩაანაცვლა. დიზაინერის განცხადებით, ნაკეთობის დამზადებას თითქმის ცხრა კვირა მოანდომა. პირველ შემკვეთს, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, სმარტფონი 15,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჰიუზის კომპანია მყიდველს ძვირფასი ლითონით შემკული სმარტფონების შედარებით იაფ ვერსიებსაც სთავაზობს, რომელთა ღირებულება ათი ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს.

რესტორანში სადილს ხუთი წელი უნდა ელოდოთ

ამერიკული რესტორანი Damon Baehrel გარეგნულად ერთ ჩვეულებრივ, სოფლის სასადილოს ჰგავს, თუმცა იქ მოხვედრის მსურველებს რიგში დგომა ხუთ წელიწადს უწევთ. დაწესებულების პოპულარობის საიდუმლო მისი მფლობელის, დეიმონ ბერელის გატაცებაშია — მას თავად მოჰყავს ხილი და ბოსტნეული, ამარილებს ხორცს, აკეთებს სხვადასხვა სახის ყველს, რესტორნის ინტერიერის დიზაინს ამუშავებს და ხის ავეჯსაც კი თავად ქმნის, შეფ-მზარეულიც თვითონ არის — მიუხედავად იმისა, რომ კულინარია არასოდეს უსწავლია, მცირერიცხოვანი სტუმრებისთვის მოლეკულური სამზარეულოს შედევრებს ქმნის. ყოველი სადილი ცივი წახემსებით იწყება — ეს სუმახას ფოთლებისა და იის ღეროების სალათია, რომელიც ყურძენთან ერთადაა გაყინული. რესტორნის მენიუ წლის პერიოდზეა დამოკიდებული და მასში ეგზოტიკური კერძებიც შედის ხოლმე. ამ დაწესებულებაში სადილი 255 დოლარი ჯდება, სასმელის საფასურისა და ოფიციანტისთვის განკუთვნილი ხურდის გარეშე, თუმცა ასეთი ფასის მიუხედავად, რესტორანი კლიენტების ნაკლებობას არ განიცდის. ცნობილია, რომ 2011 წელს აქ მაგიდა შეუკვეთა ბარაკ ობამამ მეუღლესთან ერთად, თუმცა მეტი არაფერია ცნობილი, რადგან რესტორნის მფლობელი სტუმრების ანონიმურობას იცავს.

ელობალურ დათბობას ვულკანი აფერხებს

ვულკანის ამოფრქვევა იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, რისგანაა გამოწვეული გლობალური დათბობის პროცესში თითქმის 15-წლიანი „პაუზა“, — ამბობენ ამერიკელი მეცნიერები ლივერმორის ნაციონალური ლაბორატორიიდან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კლიმატის ცვლილების მოდელები, რომელიც XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა, არ ითვალისწინებდა ვულკანების ამოფრქვევის ეფექტს, ამიტომ ახლა იქმნება შთაბეჭდილება, რომ გლობალური დათბობის ტემპი შენელებულია. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ვულკანის ამოფრქვევისას ატმოსფეროში გოგირდის ნაწილაკები გამოიყოფა, რომელიც მზის სინათლეს აირეკლავს და ხელს უშლის სითბოს, დედამიწის ზედაპირამდე მიაღწიოს. აქამდე კლიმატოლოგები არ აღიარებდნენ ვულკანების მიერ წარმოქმნილ გამაგრილებელ ეფექტს. როგორც სწავლულები ამბობენ, 1998 წლიდან დედამიწაზე 17 ძლიერი ვულკანი ამოქმედდა, რომლებმაც 2000-2009 წლებში ატმოსფეროს არეკვლის უნარი წელიწადში, დაახლოებით, 7-ით გაზარდეს. მკვლევარებს მაგალითად მოჰყავთ სიძლიერით მეორე ვულკანის ამოფრქვევა ფილიპინებზე 1991 წელს, რომლის შემდეგაც ორი წლის განმავლობაში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა, დაახლოებით, 0,5 გრადუსით დაეცა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.